ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲒᲕᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 43-Ე ᲬᲚᲘ | № 201 (12409) | ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 25 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ, 1962 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲨᲔᲤᲐᲠᲘᲡ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲜᲐᲨᲘ ᲒᲐᲘᲡᲛᲘᲡ ᲐᲮᲚᲐ ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲘᲜᲘᲚᲘ ᲓᲐᲛᲞᲣᲠᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲓᲒᲠᲘᲐᲜ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲔᲕᲘᲩᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲐᲕᲚᲔ ᲞᲝᲞᲝᲕᲘᲩᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ, ᲡᲐᲑᲐᲭᲘᲠᲘᲗᲘᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲙᲝᲡᲛᲝᲜᲐᲕᲢᲘ ᲓᲐᲛᲞᲣᲠᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲓᲒᲠᲘᲐᲜ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲔᲕᲘᲩᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲘᲡ ᲛᲝᲒᲖᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ. ᲡᲐᲑᲐᲭᲘᲠᲗᲐ ᲜᲘᲛᲣᲨᲘᲐ, ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲬᲠᲓᲔᲚᲐᲓ.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ ᲨᲔᲤᲐᲠᲘᲡ... ᲓᲘᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲐᲡᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲛᲪᲘᲝᲠᲔᲓᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ, ᲕᲘᲜᲪ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲕᲠᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚ ᲬᲝᲓᲔᲑᲐᲡ ᲐᲢᲐᲠᲔᲑᲡ. ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲩᲕᲔᲜ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲮᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲩᲘᲜᲘᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲘᲡ ᲨᲔᲣᲠᲬᲔᲚᲔᲑᲘᲗᲐᲜ ᲓᲐᲛᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲘᲜᲘᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦწᲔᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲓᲔᲜ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲘᲗᲐᲡ.

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲡᲣᲚ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲡ ᲒᲕᲘᲙᲐᲠᲜᲐᲮᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲝᲛᲐᲪᲘᲡᲐᲜᲔᲑᲘ. ᲩᲕᲔᲜ ᲕᲐᲠᲗ ᲕᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲖᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲖᲜᲘᲡ ᲛᲘᲦწᲔᲕᲐᲠᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲘᲜᲘᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ ᲓᲐᲓᲒᲐᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲘᲜᲘᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲔᲝᲑᲐᲡ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲑᲘᲒᲠᲘᲒᲐᲓᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲘᲛᲘᲡᲐᲛᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲗᲕᲐᲨᲘ ᲐᲠᲘᲜᲔᲑᲘ ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲞᲐᲕᲚᲔ ᲞᲝᲞᲝᲕᲘᲩᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲜᲘᲛᲣᲨᲘᲐ, ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲬᲠᲓᲔᲚᲐᲓ.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲞᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ ᲣᲬᲝᲕᲘᲐ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲘ ᲯᲐᲒᲐᲓ ᲙᲣᲩᲘᲔᲕᲘ. ᲘᲒᲘ, ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲚᲘ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲙᲝᲡᲘᲡ, ᲕᲔᲠ ᲧᲝᲠᲘᲒᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲘᲛᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲑᲐᲛᲑᲘᲡ ᲞᲚᲐᲢᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲮᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲩᲘᲜᲘᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲘᲡ ᲨᲔᲣᲠᲬᲔᲚᲔᲑᲘᲗᲐᲜ ᲓᲐᲛᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲘᲜᲘᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲗ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲓᲔᲜ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲘᲗᲐᲡ.

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲡᲣᲚ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲡ ᲒᲕᲘᲙᲐᲠᲜᲐᲮᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲝᲛᲐᲪᲘᲡᲐᲜᲔᲑᲘ. ᲩᲕᲔᲜ ᲕᲐᲠᲗ ᲕᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲖᲜᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲒᲐᲛᲝᲩᲘᲜᲘᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲗᲐᲡ, ᲠᲐᲗᲐ ᲙᲘᲗᲮᲣᲚᲝᲑᲡ ᲐᲙᲘᲠᲘᲗᲔᲑᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘᲡ ᲠᲝᲚᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ. ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ ᲠᲐ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲐᲜᲓᲠᲘᲐᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲨᲔᲐᲫᲚᲔᲑᲘᲗᲐᲛ ᲒᲐᲛᲝᲩᲘᲜᲓᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘᲡ ᲠᲝᲚᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ. ᲛᲐᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲑᲘᲒᲠᲘᲒᲐᲓᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲗᲐᲜ ᲐᲮᲚᲝᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲘᲧᲝᲡ ᲨᲔᲣᲠᲬᲔᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲐᲮᲚᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲒᲘᲠᲘᲜᲝᲕᲘᲩᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲘᲜᲓᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲐᲛᲘᲪᲐᲜᲔᲑᲘ. ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲛᲝᲒᲖᲐᲚᲔᲝᲑᲘᲗᲐᲜ ᲐᲛᲘᲪᲐᲜᲔᲑᲘ.

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲠᲝᲓᲘ ᲙᲛᲐᲠᲐ, ᲠᲝᲛ ᲗᲕᲘᲗᲝᲜᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲔᲡ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ, ᲘᲛᲔᲡᲪᲝᲓᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ, ᲕᲘᲜᲪ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚ ᲬᲝᲓᲔᲑᲐᲡ ᲐᲢᲐᲠᲔᲑᲡ. ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲩᲕᲔᲜ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲮᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲩᲘᲜᲘᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲗᲐᲡ, ᲠᲐᲗᲐ ᲙᲘᲗᲮᲣᲚᲝᲑᲡ ᲐᲙᲘᲠᲘᲗᲔᲑᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘᲡ ᲠᲝᲚᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ. ᲛᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲡ, ᲠᲐᲗᲐ ᲙᲘᲗᲮᲣᲚᲝᲑᲡ ᲐᲙᲘᲠᲘᲗᲔᲑᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘᲡ ᲠᲝᲚᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ. ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲝᲑᲘᲗ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ ᲓᲒᲐᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲜᲘᲛᲣᲨᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲪᲘᲠᲔ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲐᲡᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲛᲪᲘᲝᲠᲔᲓᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ, ᲕᲘᲜᲪ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚ ᲬᲝᲓᲔᲑᲡ ᲐᲢᲐᲠᲔᲑᲡ. ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲩᲕᲔᲜ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲮᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲩᲘᲜᲘᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲗᲐᲡ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲗ ᲠᲐᲛᲘᲗᲘ ᲞᲠᲘᲕᲘᲚᲔᲒᲘᲐ, ᲛᲐᲗ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲔᲪᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐ ᲐᲘᲡᲠᲘᲐᲗ.

ᲗᲕᲘᲗᲝᲜᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲔᲡ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ, ᲘᲛᲔᲡᲪᲝᲓᲔᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐ ᲐᲘᲡᲠᲘᲐᲗ. ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲙᲛᲐᲠᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲔᲡ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ, ᲘᲛᲔᲡᲪᲝᲓᲔᲡ ᲞᲘᲠᲐᲓ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲗᲐ ᲐᲘᲦᲚᲝᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘ. ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲛᲝᲒᲖᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲪᲘᲡᲐᲜᲔᲑᲚᲐᲓ.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲨᲔᲤᲐᲠᲘᲡ... ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲛᲝᲒᲖᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲘᲠᲘᲪᲮᲕᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ, ᲕᲘᲜᲪ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ ᲐᲠᲘᲜ ᲓᲦᲔᲡ ᲨᲔᲣᲠᲬᲔᲚᲔᲑᲘᲗᲐᲜ ᲓᲐᲛᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲘᲜᲘᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲗᲐᲡ, ᲬᲛᲘᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲗᲐᲡ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲗᲐᲡ ᲐᲙᲘᲠᲘᲗᲔᲑᲡ. ᲛᲐᲡ ᲨᲔᲣᲤᲠᲗᲮᲔᲑᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲘᲜᲓᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲗᲐᲡ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲗᲐᲡ ᲐᲙᲘᲠᲘᲗᲔᲑᲡ. ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲐ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲗᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲪᲑᲐᲓᲔᲑᲡ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲓᲐᲡᲕᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲛᲝᲒᲖᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲪᲘᲡᲐᲜᲔᲑᲚᲐᲓ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲓᲐᲡᲕᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲛᲝᲒᲖᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲪᲘᲡᲐᲜᲔᲑᲚᲐᲓ.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲨᲔᲤᲐᲠᲘᲡ... ᲔᲡ ᲘᲛᲐᲚᲘ ᲜᲘᲛᲣᲨᲘᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲕᲘᲧᲝᲗ ᲛᲐᲠᲗᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲢᲐᲪᲘᲝᲡᲐᲜᲘ, ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲓ ᲕᲘᲪᲐᲕᲓᲔᲗ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚ ᲬᲝᲓᲔᲑᲡ ᲐᲦᲘᲠᲘᲪᲮᲕᲐᲜ. ᲛᲐᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲩᲕᲔᲜ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲮᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲩᲘᲜᲘᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲗᲐᲡ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲐᲠᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲘᲜᲘᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲗᲐᲡ, ᲠᲐᲗᲐ ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲘᲗ ᲐᲠ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘᲗ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐᲨᲘ

1.
ერთი სახურავი... ათი სკოლისათვის

ჩხოროწყუს რაიონში, თერთმეტი საშუალო, ცამეტი რვაწლიანი, ერთი სოფლის ახალგაზრდობისა და თორმეტი დაწყებითი სკოლაა. აღნიშნულ სკოლებში მოსწავლეთა აღზრდის საქმეს 600-მდე მასწავლებელი ემსახურება.

რაიონს მხოლოდ ერთი ტიპური საშუალო სკოლა აქვს, დანარჩენი სკოლები მინიმალურად ვერ აკმაყოფილებენ თანამედროვე აღზრდის მოთხოვნილებებს. რა გუნებაზე დადგება კაცი, როცა ნახავს ლეხიჭინის, ახუთის, ხაბუმის საშუალო სკოლების, პირველი მოიდანახის რვაწლიანი, ლეწურწუმეს რვაწლიანი და ნაფიჩხოვის საშუალო სკოლებს—შენობები თითქმის ავარიულ მდგომარეობაშია.

რემონტის მიმდინარეობისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ წელს ჩხოროწყუს რაიონს გამოუყო 24 ათასი მანეთი, რაც მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებებს. ამ თანხებით სამუშაოები დამთავრებულია ხიწყის რვაწლიან სკოლაში, ასევე დამთავრების პროცესშია მიშენება სარაქონის რვაწლიან სკოლაში, სხვაგან კი?!

შეუწყნარებელი ნელი ტემპით მიმდინარეობს ახალი ოთახების მიშენება ჩხოროწყუს საშუალო სკოლისათვის, რომლისთვისაც თოთხმეტი ახალი ოთახია გათვალისწინებული. განათლების სამინისტრომ ამისათვის გამოყო 50 ათასი ცალი აგური ზუგდიდის ადგილობრივი მეურნეობის კომბინატიდან. როცა ამ უკანასკნელს აგურისათვის მიაკითხეს, მშვიდი პასუხი მიიღეს, აგურის გამოწვას თხუთმეტი დღის შემდეგ დავიწყებთო. ასევე რკინიგზის ვაგონის უქონლობის გამო მიღებული არ არის ცემენტი. თუმცა საშენი მასალაც რომ იყოს, ვინ არის ამშენებელი! საოლმეურნეობათაშორისო მშენებლობის ორგანიზაციის საბჭოს დღემდე არ გამოუყვია მშენებლები.

და მაინც სკოლების შეკეთების საქმეში ჩამორჩენის მთავარი მიზეზი საშენი მასალების უქონლობაა. მაგალითად, წელს რაიონს უნდა მიეღო 160 ტონა ცემენტი, 90.000 ცალი აგური, 280 კუბმეტრი დახერხილი ხე-ტყე, 280 კუბმეტრი მორები, 2.000 ცალი შიფერი, ორი ტონა ლურსმანი, 2.000 კვადრატული მეტრი მინა. ამის ნაცვლად განათლების სამინისტრომ გამოუყო მხოლოდ 60 ტონა ცემენტი (რაც ჯერ კიდევ არ არის მოლებული!), 25 ათასი ცალი აგური, 40 კუბმეტრი ხე-ტყე, 400 ცალი შიფერი, 125 კგ. მეტრი მინა!

ხაბუმის საშუალო სკოლაში (დირექტორი ბ. ჩალიგავა) მინები ჩალეწილია, კედლები—გაშავებული, ეზოში უსუფთაობაა. სისუფთავის დამყარება მაინც შეეძლო სკოლის კოლექტივს. არც თუ ისე ძნელია კედლების შეთეთრება, ეზოს მოსუფთავება, რატომ არ დაინტერესდნენ ამ საკითხით სოფლის მესხეურები, დირექტორი, მასწავლებლები?

დიდი ნაკლოვანებებია მოსწავლეების სახელმძღვანელოებით მომარაგების საქმეში. დღემდე რაიონში შემოზიდულია მხოლოდ 56 სახელწოდების წიგნები ნაცვლად საჭირო 99-ისა.

რაიონში ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მდგომარეობა საგანგაშოა.

ე. ჩიქავა,
გაზეთ „კომუნისტის“ საგუშაგოს წევრი,

ტ. ფელია,
ცხაკაიას ტერიტორიული საწარმოო სამმართველოს გაზეთ „კოლხეთის ცისკრის“ რედაქციის მუშაკი,

გ. ნოდია,
გაზეთ „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

2.
კვლავ ორ ცვლად?!

ისე როგორც ყველგან, ახალციხის რაიონშიც ბევრი საზრუნავი აქვთ ახალი სასწავლო წლისათვის ჯეროვნად მომზადებისათვის. ბევრგან ამ საქმეს პასუხისმგებლობით მოეკიდნენ და შედეგიც სასურველია.

ახალციხის სოფლ.-ინტერნატში (დირექტორი შ. არველაძე) დაამონტაჟეს საამბაზანო, სამრეცხაო, მოაასფალტეს ეზო, შეაკეთეს და საკმაო რაოდენობით შეიძინეს დგამ-აღებჯი და ლაბორატორიებისათვის საჭირო ინვენტარი. განხორციელდა დაბა ადიგენის სოფლ.-ინტერნატის შენობათა რეკონსტრუქცია, მოეწყო ცენტრალური გათბობა სასადილოში, სასწავლო და საძინებელ კორპუსებში.

ქარგი ინიციატივა გამოიჩინა სოფელ წინუბნის ულანოვის სახელობის კოლმეურნეობამ, რომელმაც ააშენა და 25 აგვისტოსათვის საექსპლოატაციოდ გადასცემს 8-წლიანი სკოლის ახალ შენობას.

სოფელ წყალთბილის კოლმეურნეობამ საშუალო სკოლას გადასცა ხუთი საკლასო ოთახი.

ეს არის და ეს. რაიონის არც ერთ სხვა კოლმეურნეობას არ მიუღია მონაწილეობა სკოლების შეკეთების ან აშენების საქმეში.

უფრო მეტიც, წელს რაიონში გეგმით 25 საშუალო და რვაწლიან სკოლაში უნდა ჩაეტარებინათ კაპიტალური რემონტი, ხოლო მიმდინარე რემონტი თითქმის ყველა სკოლასა და საბავშვო დაწესებულებაში. მაგრამ რემონტი მხოლოდ ორ სკოლაშია დამთავრებული.

პირველ სექტემბრამდე დაბა ახპინძის საშუალო სკოლისათვის უნდა მიეშენებინათ რვა საკლასო ოთახი. ამ სამუშაოს აწარმოებს ციკავშირის სამშენებლო ტრესტის „საქკოოპმშენის“ ახალციხის სამშენებლო უბანი, რომელსაც დღემდე სანახევროდაც არა აქვს შესრულებული სამშენებლო სამუშაოები.

სამწუხაროდ, იგივე ითქმის სოფლების სვირისა და ხიზაბავრის სოფლის მასწავლებელთა ბინების მშენებლობაზე.

გაცილებით უარესი მდგომარეობაა იმ ობიექტებზე, რომლებსაც ახალციხის ადგილობრივი მეურნეობის კომბინატის სარემონტო-სამშენებლო უბანი აწარმებს. ეს უბანი 78 სკოლასა და საბავშვო დაწესებულებაში ატარებს კაპიტალურ და მიმდინარე რემონტს. არც ერთ ამ ობიექტზე საქმე ბოლომდე არ არის მიყვანილი.

სოფელ ხიზაბავრის საშუალო სკოლაში იატაკის დაგება არ დაუწყიათ. ჯერ-ჯერობით არ ფიქრობენ ახალციხის სკოლა-ინტერნატის საძინებელი კორპუსის ფანჯრებისა და იატაკის შეღებვაზე, ამავე კორპუსისა და დაბა ადიგენის საშუალო სკოლის გარეკედლების შელესვა-შეკეთებაზე.

არავითარი იმედი არ არის, რომ პირველ სექტემბრამდე დამთავრდეს სოფელ ლელოვნის საშუალო სკოლაზე ოთხი საკლასო, წახნისა და იღუმალის რვაწლიან სკოლებზე თითო-თითო საკლასო ოთახის მიშენების სამუშაოები.

სოფელ ხეოთის რვაწლიან სკოლაში ცუდად როდი ჩაატარეს საკლასო ოთახების მიმდინარე რემონტი, მაგრამ სახურავის უვარგისობის გამო ჩამოხულმა წვიმამ ხელახლა შესაკეთებელი გახადა საკლასო ოთახები.

ანალოგიური მდგომარეობაა ყველგან, სადაც სახურავს შეკეთება სჭირდება.

ამ საკითხზე ახალციხის განათლების განყოფილების გამგემ ბ. ახვლედიანმა შემოგვჩივლა:

ჩვენი მხრივ ყოველ ღონეს ვხმარობთ, მაგრამ ვერაფერს გავხდით. საქმე ის არის, რომ წელს განათლების სამინისტრომ ახალი მშენებლობებისა და ძველი სახურავების შეკეთებისათვის მხოლოდ 270 ცალი შიფერი გამოგვიყო, რაც მარტო მასწავლებელთა ერთ საცხოვრებელ ბინას მოუნდა(!).

არც სხვამხრივ არის ყველაფერი რიგზე. წელს ალბათ ვერც ერთი სკოლა ვერ გადავა ერთ ცვლად მეცადინეობაზე. ახალციხის მესამე სკოლას პირველი სექტემბრიდან ოთხი კლასი უნდა დაემატოს, საკლასო ოთახებს მიშენების ან გამოყოფისათვის კი არავის უზრუნია.

ბევრგან ყურადღება არ ექცევა რემონტის ხარისხს, შესაღებია დაფები, შესაკეთებელი და შესაძენია მერხები, კარადები და სხვა სახის ინვენტარი. ნაკლებად ზრუნავენ სკოლების შეშითა და სათბობით მომარაგებისათვის.

ახალციხის რაიონის სკოლებში ახალი სასწავლო წლისათვის მზადება მეტად მოიკოჭლებს. საქმეს არ შველის დანაშაულის ერთმანეთისათვის გადაბრალება.

ჯ. ხვადაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

რესპუბლიკის მეშახტეები, შახტმშენებლები თავდადებით შრომობენ იმისათვის, რომ ახალი შრომითი საჩუქრებით შეხვდნენ თავიანთ ტრადიციულ დღესასწაულს — მეშახტის დღეს. გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში კომუნისტური შრომის ბრიგადებმა და ცალკეულმა დამკვრელებმა დროს გაუსწრეს, გადაკარბებით გაანაღდეს აგვისტოს დავალება და ქვანახშირს სექტემბრის ანგარიშში იძლევიან.

მაღალი შრომითი მაჩვენებლებით ხვდება მეშახტის დღეს „ტყიბულქვანახშირის“ ტრესტის ლენინის სახელობის შახტის კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც ა. ვარდოსანიძე ხელმძღვანელობს. ბრიგადამ განვლილ პეროიდში სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცა 700 ტონაზე მეტი სათბობი.

სურათზე: ბრიგადის ხელმძღვანელი ა. ვარდოსანიძე.

ფოტო პ. ლუცენკოსი. (საქდესის ფოტოქრონიკა).

პრესის მიმოხილვა

გაზეთი და ნოვატორული ბიბლიოთეკა

სამგორი

ამ თვენახევრის წინ გაზეთ „სამგორს“ (რედაქტორი ს. ნარიმანიძე) რედაქციაში მშრომელთა ერთი ჯგუფი შეეკრიბა.

— **გუშინ გაზეთებში,** — მიმართეს მათ რედაქციის მუშაკებს, — **გულდასმით წაიკითხეთ ნ. ხრუშჩოვის სიტყვა რუსეთის ფედერაციის ცენტრის რაიონების საწარმოო სამმართველოების მუშაკთა თათბირზე. ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით მიიქცია სიტყვის ამ ნაწილმა, სადაც ლაპარაკია მოსკოვის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „კლენოვო-ჩეგოდაევში“ ანტიბიოტიკების გამოყენებაზე, რაც ღორების წონაში მატებას 29 პროცენტით ადიდებს. გთხოვთ დაგვეხმაროთ დეტალურად გავეცნოთ ანტიბიოტიკების პრაქტიკულად გამოყენების წესს“.**

რედაქციამ გადაწყვიტა დაეკმაყოფილებინა პრაქტიკოს მეცხოველეთა სურვილი, რისთვისაც წერილით მიმართა მოსკოვის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „კლენოვო-ჩეგოდაევის“ დირექტორს ა. ბარბაშოვს მოეთხრო ანტიბიოტიკების გამოყენების საქმეში თავისი გამოცდილების შესახებ.

და აი 4 აგვისტოს გაზეთ „სამგორის“ პირველ გვერდზე დაიბეჭდა რედაქციის წერილი და ამხ. ბარბაშოვის პასუხი.

— **ჩვენს მეურნეობაში საკვებ ბიოტიკებს 1957 წლიდან ვიყენებთ,** — წერს ამხ. ა. ბარბაშოვი. **ამ ხნის განმავლობაში მეურნეობაში მნიშვნელოვნად შემცირდა მოზარდის კუჭ-ნაწლავის დაავადება; ლიკვიდირებულია ფილტვების დაავადება.**

საკვები ბიოტიკები რაციონში შეგვაქვს მას შემდეგ, რაც გოჭები 15 დღისა გახდებიან, ერთი კილოგრამი ცოცხალი წონის ანგარიშში შეგვაქვს 500 აქტიური ერთეული.

მაკე ღორებს ანტიბიოტიკებს ვაძლევთ მოგებამდე 2 კვირით ადრე — ერთ კილოგრამ ცოცხალ წონაზე 600 საკვებ ერთეულს. ეს ხელს უწყობს დედალორების რძიანობის ამაღლებას, ამავე დროს ახალმოგებულ გოჭებს იცავს დაავადებისაგან.

ანტიბიოტიკების გამოყენების შედეგად გოჭების წონა მეურნეობაში გადიდდა 12-15 პროცენტით, ხოლო ზოგიერთ განყოფილებაში — 29 პროცენტით.

თუ რაიმე საკითხმა დაგაინტერესოთ, კვლავ მოგვწერეთ.

ამასთან ერთად გიგზავნით ანტიბიოტიკების გამოყენების მეთოდური მითითებას.

გისურვებთ წარმატებას მუშაობაში!“

ეს მხოლოდ ერთი დამახასიათებელი მაგალითი. მაგრამ დადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის პროპაგანდა გაზეთ „სამგორის“ ფურცლებზე ძირითადი და მუდმივი თემა გახდა.

ამ მიზანს ემსახურება აქ დამკვიდრებული რუბრიკები: **„მოწინავეთა გამოცდილება — ყველას“, „შევისწავლოთ, დავნერგოთ, განვავითაროთ“, „აგრონომი გვირჩევს“, „გაიზიარეთ ეს რჩევა“, „შევიძინოთ, დავნერგოთ, გამოვიყენოთ“,** რომელთა ავტორები ძირითადად მეცნიერი მუშაკები და გამოცდილი სპეციალისტები არიან.

მკითხველები მუდამ ინტერესით ვლიან და გულთბილად ხვდებიან რუბრიკებს: „ვნახოთ, ვინ ვის აჯობებს!“, „ვინ როგორ ასრულებს ვალდებულებას“, „ჩვენი შუქურები“, „ავიღოთ შვიდწლედის ახალი ზღუდეები“, „22.004 ტონა რძისათვის“, „5.601 ტონა ხორცისათვის“, „547 ტონა მატყლისათვის“, „2.960 ტონა თამბაქოსათვის“, „გავაჩაღოთ ლაშქრობა ორგანოების შექმნის შემდეგ გაზეთმა თავისი ტრიბუნა დაუთმო საგარეუბნო საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებული ტრესტის მუშაკებს, პარტორგს, ინსტრუქტორებს, კომორგს.

სამთვენახევრის მანძილზე გაზეთმა ბევრი საქმიანი გვერდი, განყოფილება, წერილი, ნარკვევი და ჩანახატი მოათავსა. მეტ წილ შეთხზევაში გაზეთი ახერხებს დამაჯერებლად ასახოს მოწინავეთა მუშაობის ხერხები, ამახვილებს ყურადღებას ნაკლოვანებებსა და მათი დაძლევის გზებზე.

კრიტიკული წერილების მარტო სათაურთა ჩამოთვლაც („გამოფხიზლდით, მანგალისელებო“, „ასე არ შემცირდება თვითღირებულება“, „სუსტად მუშაობთ, მუღალნოელებო“, „ივრელებო, თქვენგან მეტს ველით“ და სხვ.) ცხადყოფს, რომ გაზეთი ამხელს ნაკლოვანებებს, ჩამორჩენილებს.

მაისის ბოლოს გაზეთში გამოჩნდა მოწოდება — „ივნისი და ივლისი გამოვაცხადოთ მაღალი წველადობის თვეებად!“, რასაც ფართოდ გამოეხმაურნენ საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეები, გაზეთის 2 ივნისის ნომერში დაიბეჭდა მარტყოფის მეგოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მწველავის მ. მათიაშვილის ღია წერილი თეთრი წყაროს მეხორცეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის მწველავ ვ. ალოხოვასადმი რძის სიუხვისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ.

ალახოვამ მათიაშვილს მაღე საპასუხო წერილი მისწერა, რის შემდეგ ორი პატრიოტი თანამოსაქმის მისაბაძ თაოსნობას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი მწველავებმა თ. კობიაშვილმა, თ. ჩოხელმა, ი. მამნიაშვილმა, ს. დელიბაშვილმა და სხვებმა. გაჩაღდა ლაშქრობა რძის სიუხვისათვის, სისტემატურად ქვეყნდებოდა მეტი რძისათვის მებრძოლთა შრომითი მაჩვენებლები. ყოველივე ამას სასურველი შედეგი მოჰყვა. ივნისსა და ივლისში წველადობამ საბჭოთა მეურნეობებში საგრძნობლად იმატა.

ეწევა რა სოფლის მეურნეობაში ყოველივე ახლის, მოწინავის, პროგრესულის პროპაგანდას, გაზეთ „სამგორის“ რედაქციის კოლექტივი ცდილობს გაამრავალფეროვნოს მასალების მოწოდების ფორმები, ცოცხალი და საინტერესო გახადოს მათი შინაარსი.

მაგრამ ამასთანავე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ ყველა მასალა ნოვატორებსა და მოწინავე მეთოდებზე როდია ღრმა და დამაჯერებელი, მომზადებულია ნაუცბათევად, ბევრით ვერაფრით ამდიდრებს მკითხველის გონებას, რადგან მათში ზოგადი ფრაზები სჭარბობს და ნაკლებ შეეხება საქმის კონკრეტულ მხარეს.

იგრძნობა გარეშე ავტორთა ნაკლებობაც, რის გამო ზოგჯერ გაზეთის ფურცლები გადატვირთულია რედაქციის მუშაკთა წერილებით..

იმედი უნდა გიქონიოთ, რომ გაზეთ „სამგორის“ კოლექტივი გამოასწორებს ამ ნაკლოვანებებს და გაზეთის ფურცლებს კიდევ უფრო შინაარსიანსა და მიმზიდველს გახდის.

გმირობა არქტიკაში

ოცი წლის წინათ, 1942 წლის 25 აგვისტოს, არქტიკის ცივ სივრცეებში გრანიტის ბატარა კუნძულ ბელუხას ახლოს, კარის ზღვაში, საბჭოთა მეზღვაურებმა და პოლარელებმა უმაგალითო გმირობა ჩაიდინეს.

ომის მეორე წელი იყო. საბჭოთა არმია მარტო ებრძოდა ფაშისტთა ურდოებს. ზაფხულში, როცა გერმანელებმა ახალი გენერალური შეტევა დაიწყეს, ომის ალი არქტიკასაც მოედო. ჰიტლერმა თავის სამხედრო-საზღვაო ძალებს ბრძანება მისცა ჩაეფუშათ ნაოსნობა ჩრდილოეთის საზღვაო გზაზე. ამ გეგმამ მიიღო პირობითი სახელწოდება „ვუნდერწლანდი“ („სასწაულთა მხარე“). „ვუნდერწლანდის“ ოპერაციის შესასრულებლად გერმანელთა სარდლობამ გაგზავნა კრეისერი „ადმირალი შეერი“ და სამი წყალქვეშა ნავი. ფაშისტთა ხომალდებმა კარის ზღვაში შეაღწიეს. პირველ მსხვერპლად მათ დაიხსახეს ცხრა სატრანსპორტო გემისა და სამი ყინულმჭრელისაგან შემდგარი კარავანი: კარავანი დიქსონის ნავსადგურიდან გამოვიდა და ნელა მიიწევდა აღმოსავლეთით ვილკიცკის სრუტისაკენ. საბჭოთა არქტიკა მკაცრად შეხვდა დაუპატიჟებელ სტუმრებს. მტრის მეზღვაურები კინაღამ ყინულის მახეში მოჰყვნენ, შემდეგ კი ნისლსა და თოვლში კარავანის კვალი დაკარგეს.

დაიწყო ძებნა. კარის ზღვაში ხეტიალისას, „მეთვალთვალეებმა „ადმირალ შერიდან“ 25 აგვისტოს შუადღისას სამხრეთ ჰორიზონტზე შენიშნეს უცნობი ხომალდის ანძები — ეს „ა. სიბირიაკოვი“ იყო. ფაშისტთა კრეისერი მასთან მისაახლოებლად წამოვიდა და გზას უჭრიდა ნაპირისაკენ.

„სიბირიაკოვზე“ კი ამასობაში საბრძოლო განგაშის სიგნალი გაისმა. ხომალდის მეთაურმა ანატოლი კაჭარავამ და თანაშემწემ პოლიტიკურ ნაწილში ზელიკ ელიმელახმა გადაწყვიტეს ეცადათ უახლოესი კუნძულების საფარით წყალქვეშა აღგილებში გაეყვანათ გემი, ხოლო თუ ეს არ მოხერხდებოდა, ბრძოლა მიეღოთ.

ძალები უთანასწორო იყო. „ადმირალი შეერი“ მძიმე კრეისერების კლასს ეკუთვნოდა, მისი 57 ათას ცხენის ძალის მანქანა 28 კვანძ სიჩქარეს აკეთარებდა. ეკიპაჟი 926 კაცისაგან შედგებოდა. „სიბირიაკოვს“ კი ორთქლის მოძველებული 2.000 ცხენის ძალის მანქანა ჰქონდა, რომელიც 8 კვანძ მაქსიმალურ სიჩქარეს იძლეოდა. იგი სუსტად იყო შეიარაღებული. იმ დროს მასზე სულ 104 კაცი იყო — ეკიპაჟი და მგზავრი პოლარელები; ისინი დასაზამთრებლად მიდიოდნენ შორეულ პოლარულ სადგურებში.

გერმანელთა რეიდერმა წინადადება მისცა „სიბირიაკოვს“ დანებებულიყო.

საბჭოთა მეზღვაურებმა აღმფოთებით უარყვეს მტრის თავხედური მოთხოვნა და პირველებმა გააჩაღეს ბრძოლა. ამ უთანასწორო ბრძოლას რომ იწყებდნენ, საბჭოთა ადამიანებმა იცოდნენ, რომ ამკარად დასაღუპავად გასწირეს თავი. ბრძოლა ხანმოკლე და სასტიკი იყო. სიბირიაკოველებმა სასწაულებრივი გმირობა გამოიჩინეს, მაგრამ ვერც თავი გადაარჩინეს და ვერც ხომალდი. მძიმე ყუმბარებით დაფლეთილი და დასახიჩრებული „სიბირიაკოვი“ ჩიროდაბინით იწვოდა. ადამიანთა ორი მესამედი უკვე დაღუპა. კაპიტანმა კაჭარავამ ბრძანება გასცა კინგსტონები გაეხსნათ და გემი ჩაეძირათ. სიბირიაკოველებმა „ვარიაგის“ გმირობა გაიმეორეს.

აშკარად სასიკვდილოდ რომ გასწირეს თავი, მამაცმა მეზღვაურებმა იცოდნენ, რომ მათი მსხვერპლი ამაო როდი იყო. ფაშისტთა რეიდერს ბრძოლა რომ მოახეიეს თავს, მათ შეაფერხეს მოწინააღმდეგე და შესაძლებლობა მისცეს გემთა ქარავანს, რომელიც რადიოთი გააფრთხილეს საშიშროების შესახებ, ვილკიცკის სრუტის ყინულებით გასულიყო ლაპტევების ზღვაში. თავიანთი სიცოცხლის ფასად სიბირიაკოველებმა გადაარჩინეს 12 ხომალდის ქარავანი და ასობით თავიანთი ამხანაგი.

სიბირიაკოველთა უმრავლესობა ბრძოლაში დაიღუპა ან ხომალდთან ერთად ჩაიძირა. მხოლოდ 19 კაცი გადარჩა ცოცხალი. თვრამეტი სიბირიაკოველი, მათ შორის მძიმედ დაჭრილები — კაპიტანი კაჭარავა, ხომალდის კომუნისტური ორგანიზაციის მდივანი მიხეილ სარაევი, ტყვედ ჩავარდა — ისინი ხელში ჩაიგდეს გერმანელებმა, როცა ცდილობდნენ ნავთთ მიეღწიათ კუნძულ ბელუხამდე. ერთადერთი მეზღვაური — ცეცხლფაზეში პავლე ვავილოვი გადაურჩა ტყვეობას. მან დამსხვრეული ნავთთ მიაღწია კუნძულ ბელუხას და ერთ თვეს იცხოვრა იქ როგორც პოლარელმა რობინზონმა. იქიდან იგი გამოიყვანა ცნობილმა პოლარელმა მფრინავმა ივანე ჩერევიჩნიმ.

ბევრი მძიმე განსაცდელის გადატანა მოუხდათ დატყვევებულ სიბირიაკოველებს ფაშისტურ ბანაკებში. მაგრამ სულით არ დაცემულან. ისინი ვერც წამებამ გატეხა, ვერც შიმშილმა, ვერც მძიმე ჯაფამ. ხუთი მათგანი ტყვეობაში დაიღუპა, დანარჩენები ომის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდნენ.

ას ოთხი კაცი წავიდა „სიბირიაკოვით“ მის უკანასკნელ რეისში მხოლოდ თოთხმეტი მათგანი შეხვდა 1945 წლის 9 მაისს — გამარჯვების დღეს.

სიბირიაკოველთა სახელი მამაცობის, გმირობის, თავისი ხალხისადმი უსაზღვრო ერთგულების სიმბოლო გახდა. ჩრდილოეთის საზღვაო გზაზე მცურავი გემები, კარის ზღვაში რომ გადიან კუნძულ ბელუხას ტრაგედიასთან, აღამს დაბოა უშვებენ და საყვირებით აძღვენენ სალუტს გმირ ხომალდს და გმირ სიბირიაკოველებს, რომლებიც ცივი კარის ზღვის ფსკერზე განსვენებენ.

ახლა სად არიან გადარჩენილი სიბირიაკოველები, რა საქმიანობას ეწევიან? ომის დამთავრების შემდეგ ისინი მშვიდობიან შრომას დაუბრუნდნენ, უმრავლესობა — არქტიკაში ან საზღვაო ტრანსპორტზე.



კაპიტან კაჭარავას რვა წელიწადს დაჰყავდა არქტიკის ზღვების ყინულებში ყინულმჭრელი გემი „ლენინგრადსკი“, უკანასკნელ წლებში კი იგი საოკეანო თბომავალ „თბილისის“ კაპიტანს ბოგზეი და ევროპისა და ამერიკის ნავსადგურებში დაჰყავს ეს გემი. მაგრამ ახლა მას სოხუმში მივაგენით. ტელეფონთან თვითონ იგი მოვიდა:

— **თქვენ გაინტერესებთ, რას ვაკეთებ ახლა?** შეებულებას ვატარებ სოხუმში — აქ ხომ ჩემი სამშობლოა. ვისვენებ ოჯახის წევრებსა და მეგობრებს შორის. არცოუ დიდი ხანია, საინტერესო რეისიდან რომ დავბრუნდი. გმირ კუბაში სასოფლო-საბეურნეო მანქანები და სასუქები ჩავიტანეთ. ძნელია გადმოგცეთ, რა გულთბილად და სიხარულით შეგვხვდა შესანიშნავი კუბელი ხალხი. უნდა ითქვას, რომ ატლანტის ოკეანეში მთელი სკლის დროს ჩვენ თან გვდევდნენ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო თვითმფრინავები. ისინი პროვოკაციულ მცელავ ფრენას ახდენდნენ გემის გარშემო...

— **როგორია თქვენი შემდგომი გეგმები?**

— ზაფხულის ბოლოს შვებულებას დავამთავრებ და კვლავ დავბრუნდები „თბილისზე“. მურმანსკის სანაოსნოს დავალებით ვიმუშავებ ტვირთების გადაზიდვაზე.

— **სად არიან ახლა თქვენი მეგობარი „სიბირიაკოველები?“**

— **გაიფანტნენ ჩვენს თვალუწვდენ ქვეყანაში.** ბოცმანი ანდრია პავლოვსკი და კაპიტან კაჭარავას ნაცოლარი ცეცხლფარეში პავლე ვავილოვი კვლავ ყინულმჭრელებზე ცურავენ. მექანიკოსი ივანე კალიანოვი ინჟინრად მუშაობს ტიქსის ნავსადგურში. პარტიული ორგანიზაციის მდივანი მიხეილ სარაევი ლენინგრადში ცხოვრობს, მუშაობს ერთ-ერთ თეატრში დირექტორის მოადგილედ. ხერო სერაფიმ გერეკა ქრასნოიარსკში ცხოვრობს და მუშაობს; ნეოფელტელი ივანე ალექსეევი კოლმეურნეობაში შრომობს პსკოვის ოლქში, მისი ამხანაგი ივანე ტორბაევი კი — არსაგელსკის ოლქის ერთ-ერთ სატყეო მეურნეობაში.

მაგრამ ყველა გადარჩენილმა სიბირიაკოველმა როდი მოაღწია ჩვენს დრომდე. უკვე ომის შემდეგ დაიღუპა არქტიკაში სამსახურებრივი მოგალეობის შესრულების დროს ჰიდროლოგი ანატოლი ზოლოტოვი. ხერო ივანე ზამიატინი და მატროსი ივანე კოტლოვი კი მაღე გარდაიცვალნენ განთავისუფლების შემდეგ — ფაშისტურ ტყვეობაში ჯანმრთელობა საბოლოოდ შერყეული ჰქონდათ.

ცოტა ხნის დუმილის შემდეგ კაჭარავამ განაგრძო:

— ჩვენ ყველანი, ვინც განვიცადეთ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, მეგობრების დაღუპვა, ფაშისტური ტყვეობის საშინელებანი, მთელი ხმით ვამბობთ: ჩვენი პლანეტიც ადამიანებმა **არ** უნდა დაუშვან ახალი ომი! ჩვენ ვიცით, რა არის ომი. ჩემმა ამხანაგებმა სიბირიაკოველებმა, რომლებიც 20 წლის წინათ დაიღუპნენ, თავი გასწირეს საბჭოთა ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის, დედამიწაზე მშვიდობისათვის

„სიბირიაკოვის“ გმირობა დავიწყებული არ არის. ყველა გადარჩენილი სიბირიაკოველი დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებით, ხოლო „სიბირიაკოვის“ სახელი მიეკუთვნა ერთ-ერთ ახალ ყინულმჭრელს.

ევგენი სუზიუმოვი,
სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის საზღვაო საექსპედიციო სამუშაოთა განყოფილების უფროსის მოადგილე.

* * *

სურათზე: პირველი საბჭოთა ორკორპუსიანი გემი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ
„დაკარგული ავტორიტეტი“

□ „კომუნისტის“ სიგნალი მთლიანად დადასტურდა □ წუნის მაკეთებლებს სამართალი გამოაცალეს □ საამქროს უფროსი, ბუხგალტერი მოხსნილია □ დირექტორი სასტიკად დასჯეს.

„ტიხარი ალაპარაკდა“

ჩვენი გაზეთის ფურცლებზე დაბეჭდილ კრიტიკულ წერილში „ტიხარი ალაპარაკდა“ ძალებული იყო თბილისს სამშენებლო დეტალების ქარხნის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები. წერილთან დაკავშირებით ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. მ. ზოდელავა რედაქციას ატყობინებს: „კომუნისტში“ დაბეჭდილი წერილი „ტიხარი ალაპარაკდა“ გამგეობამ ცნო **სწორად.**

ქარხნის დირექტორს **დ. ორაგველიძეს** და წარმოების უფროსს **ლ. აზიზიანს** გამოეცხადათ საყვედური უხარისხო პროდუქციის გამოშვებისათვის.

ქარხნის ქსილოლიტური საამქროს უფროსი **შ. ობოლაძე,** რომელმაც ქარხალიტის სატიხრე ფილების გამოშვებაში არ დაიცვა საჭირო ტექნოლოგია, მოიხსნა სამუშაოდან.

ქარხანას ეკრძალა ქსილოლიტის ნაწარმის შემდგომი გამოშვება. დამატებით ღონისძიებათა განსახორციელებლად საჭირო ხარჯების გაღება დაეკისრა ქარხანას. ზარალის განსაზღვრის შემდეგ გადაწყდება კონკრეტული დამნაშავის საკითხი.

ამ სათაურით გაზეთ „კომუნისტის“ მიმდინარე წლის 18 ივლისს ნომერში გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი, რომელიც ეხებოდა გორის რაიონის სოფელ მერეთის მიწურნის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობისა და პარტბიუროს სუსტ მუშაობას.

პარტიის გორის რაიკომის ბიუროომ კოლმეურნეობაში შექმნილი მდგომარეობის საკითხი, გორის ტერიტორიული საწარმოო სამმართველოსა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პარტორგის წარდგენებთან, განიხილა თავის სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ სამმართველოს თანამშრომლები და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პარტორგის ინსტრუქტორი. ბიუროომ წერილში მოყვანილი ფაქტები **დადასტურებულად** ცნო.

კოლმეურნეობაში ადგილი აქვს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის ალმაფოთებელ ფაქტებს. სუსტია შრომის დისციპლინა, მოუწესრიგებელია შრომა. სათანადო ყურადღება არ ექცევა შემოსავალ-გასავლის აღრიცხვას, რაც საშუალებას აძლევს იოლი გზით გამდიდრების მოყვარულ ცალკეულ ელემენტებს უსინდისოდ აფათურონ ხელი საკოლმეურნეო ქონებაში. იმავითა როდია შრომადღეების უკანონოდ დარიცხვისა და პირუტყვის საკვების არასწორად ხარჯვის ფაქტები.

საკოლმეურნეო პარტორგანიზაცია ვერ იყენებს კოლმეურნეობის გამგეობის საქმეებში? სურამელი მშენებლები გეგმის შეუსრულებლობას კორის მეცხრე სამშენებლო ტრესტის დაუხმარებლობით ხსნიან, მათ ადანაშაულებენ, სამშენებლო მასალებით არა ვართ უზრუნველყოფილი, მექანიზმები არ გვაქვსო... მაგრამ მათ ამ „წუხილში“ ცოტაა სიმართლე. გორის სამშენებლო ტრესტმა ხაშურის სამშენებლო სამმართველოს წლის დასაწყისიდანვე იმდენი ციმენტი, ხე-ტყე, რკინა და სხვა მასალები მიაწოდა, რაც მთელ წელს უნდა ხარჯონ. მაშ რაღაა სადავო?

ახლა მექანიზმებზე ვთქვათ. სამმართველოს განკარგულებაშია ორი ბულდოზერი, ორი ავტოამწე, ორი კოშკურა ამწე, ორი ექსკავატორი, რამდენიმე ბეტონსარევი, წყალსაქაჩი ტუმბო და სხვ.

გამოდის, რომ მშენებლობა საშენი მასალებითა და საჭირო მექანიზმებითაც უზრუნველყოფილია. მშენებლობის გეგმები კი იმიტომ ვერ სრულდება, რომ ცუდია შრომის ორგანიზაცია, მოდუნებულია დისციპლინა, ხშირია მექანიზმების მოცდენა.

ერთ თვეზე მეტია არ უმუშავია კოშკურა ამწეს, დაზიანების გამო კარგა ხანია დგას ერთი ექსკავატორი. საერთოდ დაბალია მექანიზმების წარმადობა.

გეგმების შეუსრულებლობის მთავარი მი

მოლაპარაკება ჟენევაში

ჟენევა, 22 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტმა გადაწყვიტა შეწყვიტოს მუშაობა 8 სექტემბრიდან და გაახანგრძლივოს იგი ჟენევაში 1962 წლის 12 ნოემბერს. თანამავალ ჯდომარეებს კომიტეტმა დაავალა კომიტეტის წევრებთან კონსულტაციის შემდეგ დაიწყოსონ კომიტეტის ჟენევაში მუშაობის განახლების სხვა თარიღი.

თავის დღევანდელ პლენარულ სხდომაზე კომიტეტი, რომელიც რამდენიმე უკანასკნელი სხდომა მიუძღვნა ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხის განხილვას, დაუბრუნდა დისკუსიას საყოველთაო და სრული განიარაღების პირველი ეტაპის ღონისძიებათა შესახებ, რომლებსაც ითვალისწინებს როგორც ხელშეკრულების სამკვეთა პროექტი, ისე ხელშეკრულების ძირითად დებულებათა ამერიკული სქემა. კანადის წარმომადგენელმა გენერალმა ბერნსმა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ა. დინმა თავიანთი განცხადებანი ძირითადად მიუძღვნეს კონტროლისა და შემოწმების საკითხს. ისინი იცავდნენ ამერიკის წინადადებას ეგრეთწოდებული ზონალურ-შერჩევითი ინსპექციის შესახებ. რომლის მიზანია არა განიარაღების შესახებ შეთანხმებულ ღონისძიებათა შესრულების შემოწმება, არამედ დარჩენილი შეიარაღებისადმი კონტროლი, ე. ი. დაზვერვითი სამუშაოს შესრულება.

შეფფოთება ინგლისში

ლონდონი, 22 აგვისტო. (საკდესი). დღეს ინგლისის პრემიერ-მინისტრის დროებით რეზიდენციაში — საადირალოს შენობაში გაიმართა ინგლისის მთავრობის საგანგებო სხდომა. სხდომას ესწრებოდა კაბინეტის ყველა წევრი პრემიერ-მინისტრ მაკმილანის მეთაურობით. ბევრი მათგანი იძულებული გახდა გუშინ შეეწყვიტა დასვენება და სასწრაფოდ დაბრუნებულიყო ლონდონს.

თუმცა ოფიციალურ წრეებში აღნიშნავდნენ, რომ სხდომის მოწვევა ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ იყო გათვალისწინებული, მაგრამ, როგორც პრესა იუწყება, ეს ამბავი დაიჩქარა დასავლეთ ბერლინში არსებულმა მდგომარეობამ.

ამ საკითხთან ერთად, კაბინეტის სხდომის დღის წესრიგში შეტანილია მთელი რიგი სხვა პრობლემები: ინგლისის შესვლა „საერთო ბაზარში" და ამ საკითხში წარმოქმნილი სიძნელენი, სამხრეთ როდეზიაში არსებული მდგომარეობა, სადაც გაძლიერდა დაძაბულობა ხელისუფალთა მიერ დემოკრატიული უფლებების ჩახშობის შედეგად, კონგოს საკითხი, განიარაღების პრობლემები და მომზადება ერთა თანამეგობრობის ქვეყნების პრემიერ-მინისტრთა მომავალი კონფერენციისათვის.

დიდი პროგრესი

ტოკიო, 22 აგვისტო. (საკდესი). იაპონიის საქმიანი წრეები დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ მოსკოვიდან მიღებულ ცნობებს იმის შესახებ, რომ მთელი რიგი შეთანხმებანი და კონტრაქტები დაიდო იაპონიის უდიდესი ბანკებისა და იმ ფირმების წარმომადგენლებს, რომლებიც ვიზიტად იმყოფებიან საბჭოთა კავშირში, და საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციებს შორის.

იაპონიის საქმიანი წრეების ორგანო გაზეთი „ნიხონ კეიძაი", რომელიც პირველ გვერდს უთმობს საქმიანი წრეების დელეგაციის ყოფნას სსრ კავშირში, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოსკოვში დელეგაციის მოლაპარაკების შედეგებს მიესალმებიან იაპონიის საქმიანი ადამიანები. როგორც გაზეთი მოწმობს, საბჭოთა კავშირთან კონტრაქტების დადება განსაკუთრებით ახარებს გემთსაშენებელი მრეწველობის მეწარმეებს, რომლებიც წუხდნენ იმას, რომ გემთსაშენები მათ პროდუქციაზე მოთხოვნის დაცემის ბირობებში არ დარჩენილიყო შეკვეთების მიუღებლად.

გაზეთი „მაინიტი" სარედაქციო სტატიაში წერს, რომ ახლა იაპონიის საქმიანი წრეების ერთ ნაწილს ემჩნევა ლტოლვა იმისადმი, რომ დადოს გარიგებანი საბჭოთა კავშირთან. ჩვენ გვახარებს ქვეყის დელეგაციის წარმატება, წერს გაზეთი, რომელსაც ეს წარმატება ოდენ პროგრესად მიაჩნია საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის განვითარებაში. გაზეთი მოიწოდებს საფინანსო წრეებს იმ ნაწილს, რომელსაც ჯერ კიდევ ეეშინება სსრ კავშირთან ვაჭრობის განვითარების მიზანშეწონილობა. „უკუაგდოს ყოყმანი და გაბედულად შეუდგეს იაპონიისათვის ახალი ბაზრის განვითარებას".



სამხრეთ ვიეტნამში ნგო დინ დიემის ხროვა ტერორს ეწევა მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. სამხრეთ ვიეტნამის მმართველები და მათი ოკეანესგაღმელი ბატონები არღვევენ ჟენევის შეთანხმებებს ინდოჩინეთის შესახებ, ზრდიან არმიის რიცხვს, აგროვებენ საჭურველს.

სურათზე: ამერიკელი ინსტრუქტორი სამხრეთვიეტნამელ ჯარისკაცებს ასწავლის მკვლეელობის ყველაზე „ეფექტიან" წესებს.

ფოტო აპ-საკდესისა.

პრეზიდენტ დე გოლზე თავდასხმის გამო

პარიზი, 23 აგვისტო. (საკდესი). აქ გამოცხადდა, რომ გუშინ საღამოს თავს დაესხნენ პრეზიდენტ დე გოლს. მინისტრთა საბჭოს სხდომის დამთავრების შემდეგ დე გოლი ვილაკუბლეს (პარიზის ახლო) აეროდრომზე მიდიოდა, რათა იქიდან თვითმფრინავით გაფრენილიყო თავის მამულ კოლომბე-ლე-დეზეგლიზში. ხუთ კილომეტრზე პარიზიდან პრეზიდენტის მანქანას ავტომატის სროლა აუტეხეს.

პრეზიდენტი დე გოლი უვნებელი გადარჩა. ტყვიამ დაჯრა ერთი ავტომობილისტი, რომელმაც თავის ოჯახთან ერთად ამ დროს იქ გაიარა. რამდენიმე ტყვიამ უკანა მინა და სალტები გაუხვრიტა პრეზიდენტის მანქანას.

თავდასხმის ადგილის ახლოს პოლიციამ აღმოაჩინა მიტოვებული მსუბუქი მანქანა, რომელშიც იყო სასროლი იარაღი და გრანატა. როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, დე გოლზე თავდასხმის მოწმეებმა აჩვენეს, რომ ტერორისტები შედგებოდნენ ორი ჯგუფისაგან. აქედან ერთი მოვიდა მსუბუქი ავტომობილით, მეორე — სატვირთო მანქანით.

ეს სატვირთო მანქანა აგრეთვე იპოვნეს ერთ კილომეტრზე თავდასხმის ადგილიდან, და იქ აღმოჩნდა გრანატები და ხელის ტყვიამფრქვევი.

პარიზი, 23 აგვისტო. (საკდესი). აქ ცნობილია, რომ ოსელები, ალჟირელ ტერორისტთა ერთ-ერთი ჯგუფი, ამ ბოლო დროს ცდილობენ ალჟირიდან საფრანგეთში ტერორისტების ახალი ჯგუფების გადმოყვანას. ეს ჯგუფები, ოსელების ცნობით, ალჟირიდან ინფილტრაციას ეწევიან ორ ადგილზე: ერთ-ერთ ადგილად ითვლება ალჟირ-ტუნისის ტერიტორიული ზღვარი, ხოლო მეორე ადგილად — ალჟირ-მაროკოს ტერიტორიული ზღვარი.

ოსელების ცნობით, ალჟირიდან ინფილტრაციას ეწევიან ალჟირელ ტერორისტთა ჯგუფები, ალჟირელ ტერორისტთა ჯგუფებს ეხმარებიან ალჟირელ ტერორისტთა ჯგუფებს ტუნისელ ტერორისტთა ჯგუფებიც.

ოსელების ცნობით, ალჟირელ ტერორისტთა ჯგუფებს ეხმარებიან ალჟირელ ტერორისტთა ჯგუფებს ტუნისელ ტერორისტთა ჯგუფებიც.

ოსელების ცნობით, ალჟირელ ტერორისტთა ჯგუფებს ეხმარებიან ალჟირელ ტერორისტთა ჯგუფებს ტუნისელ ტერორისტთა ჯგუფებიც.

ინდონეზიელი ხალხი ყველა ღონისძიებას იღებს იმისათვის, რომ ეკონომიური ჩამორჩენილობის მდგომარეობიდან გამოიყვანოს თავისი ქვეყანა და აამაღლოს მოსახლეობის კულტურული დონე.

სურათზე: ბრინჯის დაზვინვა კუნძულ იავაზე.

ფოტო იუპი-საკდესისა.

ტელეგრაფი გვატყობინებს

რომი, 22 აგვისტო. (საკდესი). წუხელ სამხრეთ იტალიის მთელ რიგ ოლქებში მოხდა მიწისძვრა.

მიწისძვრის ეპიცენტრი მდებარეობს ქალაქ მონტეკალვოსა და ქალაქ სავიანოს შორის აპულიაში. სტიქიური უბედურებისაგან ყველაზე მეტად დაზარალდნენ ნეაპოლის, აველინოს, ბენევენტოს, ბარისა და ფოჯის პროვინციები, სადაც დაინგრა რამდენიმე შენობა, დაიღუპა 15 და დაშავდა ასამდე კაცი.

რამდენიმე მიწისძვეშა ბიძგი აღინიშნა დღეს დილით.

ბონი, 22 აგვისტო. (საკდესი). ბალტიის ზღვაში მდებარე კუნძულ ფემარნის დასავლეთი ნაწილი ამჟამად გადაქცეულია დიდ სამხედრო ბანაკად. როგორც დპა-ს საგაგეზო იუწყება, იქ დაიწყო ბუნდესვერის საშემდგომო მანევრები, რომელშიც შედის საჰაერო და საზღვაო ოპერაციების განხორციელება. სადესანტო გემებს ნაპირზე გადაპყავთ ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები. ოპერაციებს ეხმარებიან ვერტმფრინავები და მოიერიშე თვითმფრინავები.

მანევრებს თვალყურს ადევნებენ ნატოს მთელი რიგი ქვეყნების ოფიცრები.

დასავლეთი ბერლინი, 22 აგვისტო. (საკდესი). დასავლეთ ბერლინის ხელისუფალთა აშკარა წაყრუებით „საფრონტო ქალაქის" პროვოკატორები განაგრძობენ ბანდიტურ თავდასხმებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის განკარგულებაში არსებული საქალაქო რკინიგზის მატარებლებზე. რრგორც გაზეთების ცნობებიდან ჩანს, დასავლეთბერლინელი დამნაშავე ელემენტები გუშინ ქვებს უშენდნენ მატარებლებს დასავლეთ ბერლინის მუცელენდორფის სადგურის მახლობლად. ამის შედეგად 2 მატარებელში ჩაიმსხვრა ვაგონების სარკმლები. ჩვეულებისამებრ, დასავლეთ ბერლინის პოლიციამ „ვერ შეძლო" დამნაშავეთა აღმოჩენა.

ამ დღეებში პროვოკატორები ქვებს უშენდნენ მატარებელს საქალაქო რკინიგზაზე დასავლეთ ბერლინის შტეგლიცსა და ფაიერბახშტრასეს სადგურებს შორის.

ეტრაუსის მოთხოვნა

ბონი. 22 აგვისტო. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის თავდაცვის მინისტრმა შტრაუსმა მოითხოვა შეექმნა „ნატოს ზეეროვნული გენერალური შტაბი" ვაშინგტონში. სოციალ-დემოკრატიული პრეს-ბიულეტენის „პარლამენტარიშ-პოლიტიშერ პრესედინსტის" ცნობით, შტრაუსის მოთხოვნა ამჟამად განხილვის დიდმნიშვნელოვანი პუნქტია ნატოში და, როგორც ჩანს, დაისმება ნატოს საბჭოს დეკემბრის სესიის განსახილველად. როგორც ბიულეტენი აღნიშნავს, ამ ღონისძიებით შტრაუსი ცდილობს ხელი შეუშალოს ისეთ მდგომარეობას, როცა ატომური შეიარაღება ევროპის ტერიტორიაზე გავრცელდებოდა მხოლოდ ინგლისსა და საფრანგეთზე.

მდგომარეობა არგენტინაში

ნიუ-იორკი, 22 აგვისტო. (საკდესი). არგენტინის პრეზიდენტმა ხოსე მარია გიდომ გადააყენა გენერალი კარლოს ტუროლო არმიის შტაბის უფროსის პოსტიდან, იუწყებიან უცხოთის საინფორმაციო საგენტოები ბუენოს-აირესიდან.

გენერალი ტუროლო — აქტიური მომხრე გენერალ ფედერიკო ტორანსო მონტეროსი, რომელმაც ორი კვირის წინათ ამბოხება მოაწყო ჟუჟუის პროვინციაში, — არმიის შტაბის უფროსად დანიშნა 13 აგვისტოს იმ მიზნით, რომ წონასწორობა დაემყარებინათ მთავრობის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის სამხედრო სარდლობაში. მაგრამ ამ დანიშვნამ მტკიცე პროტესტი გამოიწვია არმიის ახალგაზრდა ოფიცრებისა და უმცროსი ოფიცრების მხრივ თვით შტაბში. სწორედ ეს გახდა ტუროლოს გადაყენების მიზეზი.

ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი იუწყება, რომ გადამდგარ ბრიგადის გენერალ ლაბაირს წინადადება მიეცა დაიკავოს არმიის შტაბის უფროსის პოსტი. ამ გენერალმა, განაგრძობს კორესპონდენტი, განაცხადა კერძო წრეში, რომ პრეზიდენტ გიდოს მთავრობა არაკონსტიტუციურია და „უნდა შეიცვალოს ძლიერი სამხედრო რეჟიმით". ასეთ განზრახვას სულ უფრო ხმამაღლა გამოთქვამენ სხვა უმაღლესი ოფიცრების — მონტეროს მომხრეები — განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გიდოს პოზიცია შესუსტდა იმის შედეგად, რომ გადადგა მისი ერთგული 14 არმიის გენერალი.

პოლიტიკური კრიზისი არგენტინაში ვითარდება მძიმე ეკონომიური მდგომარეობის ფონზე. არგენტინაში იზრდება უმუშევრობა, ძლიერდება ინფლაცია. ალჟირელ ტერორისტებს ამ ბოლო დროს ოსელების ჯგუფებიც ეხმარებიან. ოსელების ცნობით, ალჟირელ ტერორისტთა ჯგუფებს ეხმარებიან ალჟირელ ტერორისტთა ჯგუფებიც.

ალჟირი დღეს

ალჟირში ორ სექტემბერს ეროვნული დამფუძნებელი კრების არჩევნებია. დროებითი აღმასრულებელი ორგანოს გადაწყვეტილების შესაბამისად 16 აგვისტოს დაიწყო წინასაარჩევნო კამპანია. 19 აგვისტოს არჩევნებამდე ორი კვირით ადრე, წარდგენილია დეპუტატობის კანდიდატთა სიები. ეს სიები გაერთიანებულ თითბირზე შემოშვეულ ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პოლიტიკურმა ბიუროომ და ექვსი ვილაიის—სამხედრო ოლქების სარდლობამ, ოლქებისა, რომლებიც ჯერ კიდევ ახორციელებენ ერთას და იმავე დროს როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო ხელისუფლების ფუნქციებს.

სიებში დასახელებულია 196 კანდიდატი თხუთმეტიოდე დეპარტამენტისათვის ალჟირის ადმინისტრაციული დაყოფის შესაბამისად, რომელიც დადგენილია საფრანგეთის ბატონობის დროს. სიებში შედიან ძირითადი პოლიტიკური მოღვაწეები ბენ ბელა, ბენ ჰედა, ფერჰათ აბასი, ბუდიაფი, კრიმ ბელყასემი და მთელი რიგი სხვა მოღვაწეები. 196 კანდიდატიდან 180 იქნება ალჟირის არაბი მოსახლეობის წარმომადგენელი და 16 — ევროპელი მოსახლეობისა. პრესის ცნობებით, 72 კანდიდატი ალჟირის ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის მეთაურები და მებრძოლები არიან. კანდიდატთა შორის 13 ქალია, მათ შორის ალჟირის ეროვნული გმირი ჯამილა ბუჰირედი.

ეროვნულმა დამფუძნებელმა კრებამ, რომელსაც 2 სექტემბერს აირჩევენ, უნდა შექმნას მუდმივი მთავრობა, შეიმუშაოს და მიიღოს კონსტიტუცია და კვლავაც განახორციელოს საკანონმდებლო ფუნქციები, თავისი ღონისძიებანი მოახმაროს თავისუფალი ეროვნული ალჟირის სახელმწიფოს მშენებლობას.

ეროვნული დამფუძნებელი კრების არჩევნები იწარმოებს რთულ პოლიტიკურ ვითარებაში, რომელიც განპირობებულია ეროვნული განთავისუფლების ფრონტის, ალჟირის ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის ხელმძღვანელობასა და ალჟირის რესპუბლიკის დროებით მთავრობაში არსებული აწეწილი ურთიერთობით. ამჟამად თავს იჩენს ის რთული ვითარება, რომელშიც იქმნებოდა და მოქმედებდნენ ეს ორგანიზაციები, თავს იჩენს მათი ტერიტორიული დაქსაქსულობა. სხვადასხვა შეხედულებანი საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებზე. თუ საფრანგეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის პერიოდში უთანხმოებანი მეორე პლანზე იდგა ან ძირითად მიზანთან შედარებით, რომ მიეღწიათ გამარჯვებისა და სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის, მას შედეგ, რაც ეს მიზანი მიღწეულია, უთანხმოებანი გასხსკუთრებული ძალით გამოვლინდა.

ალჟირის ეროვნული განთავისუფლების ფრონტმა, რომელიც 1954 წლის ზაფხულში შეიქმნა, გაერთიანა მეტი წილი ნაციონალისტური პარტიები და დაჯგუფებანი და ოცი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ალჟირელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას. ალჟირის კომუნისტური პარტია არ შეედა ეროვნული განთავისუფლების ფრონტში, მაგრამ აქტიურად მონაწილეობდა ამ განმათავისუფლებელ ბრძოლაში. კომპარტიის შეიარაღებული რაზმები შეუერთდნენ ალჟირის ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის რიგებს.

ეროვნული განთავისუფლების ფრონტის უმაღლესი ორგანო გახდა ალჟირის რევოლუციის ეროვნული საბჭო. 1958 წელს ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილებით გამოცხადდა ალჟირის რესპუბლიკა და შეიქმნა ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობა, რომლის ადგილ-სამყოფელი იყო ტუნისის ტერიტორია.

საფრანგეთის მთავრობისა და ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის წარმომადგენელთა შეთანხმებების საფუძველზე, რომლებიც ევიანში დაიდო 1962 წლის მარტში, ალჟირის ტერიტორიაზე შეიქმნა დროებითი აღმასრულებელი ორგანო, და საფრანგეთი დათანხმდა გადაეცა მისთვის ადმინისტრაციული უფლებები, როცა 1962 წლის 1 ივლისის რეფერენდუმის შემდეგ, რომელმაც ალჟირი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა, ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობა ტუნისიდან ალჟირში ჩავიდა. ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოს ურთიერთობა ალჟირში კიდევ უფრო რთული გახდა.

ეროვნული განთავისუფლების ფრონტისა და ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის ხელმძღვანელებს შორის არსებული უთანხმოებანი განსაკუთრებით გამწვავდა ალჟირის რევოლუციის ეროვნული საბჭოს უკანასკნელ სესიაზე, რომელიც ტრიპოლიში გაიმართა 1962 წლის ივნისში, როცა ეროვნული საბჭოს რამდენიმე წევრმა ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის თავმჯდომარის ბენ ჰედას მეთაურობით დემონსტრაციულად დატოვა სხდომა.

უთანხმოებანი შეეხო ისეთ საკითხებს, როგორიც არის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის გადაქცევა პოლიტიკურ პარტიად, ხელისუფლების შექმნა ალჟირში, ალჟირის განვითარების გზები და სხვ. ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის თავმჯდომარეს ბენ ჰედასა და მის მოადგილეს ბენ ბელას შორის უთანხმოების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პოლიტიკური ბიუროს შექმნისა და შემადგენლობის საკითხი. პოლიტიკურ ბიუროს, ბენ ბელასა და მისი მომხრეების აზრით, ხელი უნდა აეღო არა მარტო ფრონტის, არამედ მთელი ალჟირის ხელმძღვანელობა. უთანხმოებანი ისე გამწვავდა, რომ ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის ტუნისიდან ალჟირში გადასვლის მომენტში ბენ ბელა არ გაყვა მთავრობას, იგი დაბინავდა ქალაქ ტლემსენში — ალჟირის დასავლეთ ნაწილში. მას მხარი დაუჭირეს ეროვნული განთავისუფლების ფრონტის ლიდერთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა და ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის მთელმა რიგმა მინისტრებმა, ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის ყოფილმა თავმჯდომარემ ფერჰათ აბასმა, ეროვნულ-განმათავისუფლებელმა არმიამ და მისმა გენერალურმა შტაბმა, აგრეთვე ექვსიდან ოთხი სამხედრო ოლქის სარდლობამ. მხოლოდ ორი ოლქი მიემხრო ბენ ჰედას. დროებით მთავრობაში „ტლემსენის ჯგუფის" (ეს იგი ბენ ბელასა და მისი თანამზრახველების) უაღრესად მტკიცე მოწინააღმდეგენი იყვნენ ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეები კრიმ ბელყასემი და მოჰამედ ბუდიაფი.

ტლემსენში გამოაცხადეს, რომ შეიქმნა ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პოლიტბიურო იმ შემადგენლობით, რომელიც წამოაყენეს რევოლუციის ეროვნული საბჭოს სესიაზე 1962 წლის ივნისში. პოლიტბიუროს შემადგენლობაში შევიდნენ ბენ ბელა, ბუდიაფი, ბიტატი, ჰიდერი, აიტაჰმედი, მოჰამედ საიდი და ბენ ალა, მაგრამ ბუდიაფი და კრიმ ბელყასემი კვლავ ილაშქრებდნენ ასეთი შემადგენლობის პოლიტბიუროს წინააღმდეგ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილები დედაქალაქისაკენ მიიწევდნენ. ალჟირში შეიქმნა სამოქალაქო ომის საფრთხე.

ალჟირის კომუნისტური პარტიის მიმართვაში, რომელიც ივლისის შუა რიცხვებში გამოქვეყნდა, ხაზგასმული იყო, რომ „ალჟირის სიცოცხლესა და მომავალს საფრთხე მოელის" ეროვნული განთავისუფლების ფრონტის ხელმძღვანელობაში არსებული უთანხმოების გამო.

ალჟირის საზოგადოებრიობის ზეგავლენიმ, რომელიც მოითხოვდა რაშ შეიძლება მალე მშვიდობიანად დადგენილიყო უთანხმოებანი ეროვნული განთავისუფლების ფრონტის ლიდერებს შორის, საფრანგეთის არმიის მხრივ ინტერვენციის საფრთხის წინაშე, ეროვნული განთავისუფლების ფრონტის მტრული დაჯგუფებანი შეთანხმდნენ. პრესის ცნობებით, შეთანხმება შეეხო პოლიტბიუროს შექმნას, ეროვნული დამფუძნებელი კრების არჩევნებს და ალჟირის რეკოლუციის ეროვნული საბჭოს სესიის მოწვევას. უცხოთის პრესას ეს შეთანხმება მიიჩნია როგორც ბენ ბელას წარმატება და ბენ ჰედას დამარცხება.

ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პოლიტბიუროს წევრები, რომლებიც ტლემსენში იმყოფებოდნენ, ალჟირში ჩავიდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ გამოცხადდა, რომ განაწილებულია მოვალეობანი პოლიტბიუროს წევრებს შორის. ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის კანცელარიამ გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ „წრმენებებს, რომლებიც დღემდი ჰქონდა ალჟირის რესპუბლიკის დროებით მთავრობას, ამიერიდან ახორციელებს ალჟირის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პოლიტიკური ბიუროო. ამასთანავე კომუნიკეში აღნიშნულია, რომ დროებითი მთავრობა განაგრძობს არსებობას ალჟირის რევოლუციის ეროვნული საბჭოს მორიგი სხდომის მოწვევამდე, როგორც ალჟირის პრესა იუწყება ძირითად ამოცანებს შორის, რომლებიც ახლა დგას ალჟირის ხელმძღვანელობის წინაშე, არის: ეკონომიური ნგრევის დაძლევა, სამოქალაქო ადმინისტრაციის შექმნა, რომელმაც უნდა შეაცვალოს სამხედრო ხელისუფლები, ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის რეორგანიზაცია ეროვნულ რეგულარულ არმიად, ეროვნული განთავისუფლების ფრონტის გარდაქმნა პოლიტიკურ პარტიად. მაგრამ ყველა ამოცანას შორის მთავარია ახალგაზრდა რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი.

ა. სტუპაკი.
(საკდესი).

ჯამილა ბუპაშა გმირი ალჟირელი ხალხის სახელოვანი შვილია. 1960 წლის თებერვალში იგი დაპატიმრეს და მხეცურად აწამეს. ფრანგთა სამხედრო ტრიბუნალმა მას უდანაშაულოდ დასდო მსჯავრი ქალაქ ალჟირში. ალჟირის დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე იგი ქალაქ რენის (საფრანგეთი) საპყრობილეში ჰყავდათ.

სურათზე ჯამილა ბუპაშა მიტინგზე გამოდის განთავისუფლების შემდეგ.

ფოტო აფპ-საკდესისა.

საეჭვო ქურდობა

ნიუ-იორკი, 23 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტი გ. ვასილიევი იუწყება: გუშინ უცნობმა პირებმა გაიხრიკეს გაზეთ „პრავდის" საკორესპონდენტო პუნქტის სადგომი, რომლის დროსაც ეკრა ბლოკნოტები, რომლებშიც კორესპონდენტის სამუშაო ჩანაწერები იყო, ორი საწერი მანქანა, კინოაპარატი, ფურნალისტის ბაჯის ნაათი სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ნაჩუქრობის წარწერით და სხვა ნივთები. ეს მოხდა დღისით „პრავდის" კორესპონდენტის იქ არყოფნის დროს, თუმცა საბჭოთა ჟურნალისტები ამერიკის შეერთებულ შტატებში შეუნელებელი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებიან, უხვ უყურადღებას საბჭოთა კორესპონდენტები ამერიკის შეერთებულ შტატებში მუდამ გრძნობენ. მაგალითად, ამასწინათ თითქმის მთელი კვირის განმავლობაში „პრავდის" კორესპონდენტს ნიუ-იორკში, სადაც უნდა წასულიყო მანქანით თუ ფეხით, კვალდაკვალ მიყვებოდა ცისფერი „პლიმუტი", რომელსაც ჰქონდა ნიუ-იორკის შტატის ნომერი 5- 9503.

ნიუ-იორკის პოლიციამ აშკარად არ ჩქარობს მოძებნოს დაუბატიჟებელი „სტუმრები", რომლებიც „პრავდის" საკორესპონდენტს პუნქტს ეწვევნენ. საკორესპონდენტო პუნქტის სადგომში გამოცხადებულმა პოლიციელმა კორესპონდენტის ტელეფონით შეკითხვაზე უპასუხა, რომ სპეციალისტი- — დეტექტივები ამავე დღეს ვერ შეუდგებიან ძებნას და შესაძლოა ვერ დაიწყებენ გამოძიებას ვერც მეორე დღეს, რადგანაც „მათ ძალიან ბევრი სამუშაო აქვთ".

ეს უკვე პირველი ასეთი შემთხვევა როდია. ამ წლის დამდეგს, მაგალითად, საავტიკო საზოგადოების „ამტორგის" წარმომადგენლობის სადგომიდან, რომელიც ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ ავენიუზე მდებარეობს, გაქრა... ძმიმე ცეცხლგამძლე კარადა.

ამერიკის ვიცე-პრეზიდენტის მორიგი ტურნე

ნიუ-იორკი, 22 აგვისტო (საკდესი). დღეს ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი ჯონსონი მიდის ხმელთაშუა ზღვისა და ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში სამოგზაუროდ. თავისი ტურნეს დროს ჯონსონი ეწვევა ლიბანს, ირანს, თურქეთს, კვიპროსს, საბერძნეთსა და იტალიას. გამგზავრების წინ იგი მოეთათბირა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს კენედის, სახელმწიფო მდივანს რასკს, შეხვდა ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრებს.

ყველა ცნობაში ვიცე-პრეზიდენტის მოგზაურობის შესახებ თვალსაზრისი ვამოსვეიტის მისი სამხედრო ასპექტებიც. გაზეთი „ნიუ-იორკ ჯორნელ-ამერიკენი", მაგალითად, აქცეყნებს ახლო და შუა აღმოსავლეთის რუკას, რითაც ხაზს უსვამს იმ ქვეყნების სტრატეგიულ მნიშვნელობას, რომელთაც ჯონსონი ეწვევა. იუნაიტედ პრეს ინტერნეიშენლის საგენტოს ცნობით, ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომლის განხილვა გათვალისწინებულია ირანის, თურქეთისა და საბერძნეთის მატარი თანამდებობის პირებთან, იქნება ამ ქვეყნების, მთავრობებისადმი ამერიკის სამხედრო დახმარების განგრძობის საკითხები. იტალიაში, გაზეთ „ნიუ-იორკ ჯორნელ-ამერიკენის" სიტყვით, განიხილავენ ნატოს ფარგლებში „რაკეტულ-კოსმოსური პროგრამების" განხორციელებისათვის თანამშრომლობის საკითხებს.

არა, ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის მომავალი ტურნე სრულიადაც არ არის კეთილი ნების მისია. იგი გამსჭვალულია ცივი ომის სულისკვეთებითა და საომარი მზადების აქტივიზაციით.

სიახლე ლუვრში

მოსკოვი ხელოვნების საგანძური. — ლუვრის მუზეუმი პარიზში გაფართოვდა — მიემატა ოცდაექვსი ახალი დარბაზი. აქამდე მუზეუმი მოთავსებული იყო სასახლის უკანასკნელი მინაშენის — ახალი ლუვრის პირველ და მეორე სართულებზე. შენობის დანარჩენი ნაწილი კი საცავს წარმოადგენდა და ფართო საზოგადოებრიობა მოკლებული იყო მისი ნახვის შესაძლებლობას.

ახალგახსნილ დარბაზებში ექსპონირებულია არა ცალკეული სკულპტურული ნაწარმოებები და სურათები, არამედ შეკრებილია ყველაფერი, რაც დამახასიათებელია XVI, XVII საუკუნეების და XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ხელოვნებისათვის: სხვადასხვა ავეჯი, კერამიკა, გობელენები. მნახველს, რომელიც დათვალიერებს ახალ ექსპოზიციას, არ რჩება შთაბეჭდილება, რომ იგი მუზეუმში იყო. წერს ფრანგული გაზეთი „კომბა". ლუვრის დამთვალიერებელი სხვადასხვა ეპოქის ერთი სამეფო აპარტამენტიდან მეორეში ხვდება.

კენედის პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი, 23 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტი მ. საღათელიანი იუწყება:

პრეზიდენტმა ჯ. კენედიმ გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე აღიარა, რომ შეერთებული შტატები ჩამორჩებიან საბჭოთა კავშირს კოსმოსის ათვისებაში და რომ გაიგლის კიდევ საკმაო დრო, სანამ ამერიკის შეერთებული შტატები შეძლებენ დაეწიონ საბჭოთა კავშირს ამ დარგში.

ჩვენ ჩამოვრჩებით საბჭოთა კავშირს შორი მოქმედების რაკეტების შექმნაში, თქვა კენედიმ. მე იმითავითვე ვამბობდი, რომ ჩვენ ჯეიან შევუდექით ასეთი რაკეტების შექმნას. ჩვენ ჩამოვრჩებით.

ისეთი სიდიდის რაკეტების მშენებლობა, როგორიც საბჭოთა კავშირს აქვს, განაგრძო პრეზიდენტმა, კოლოსალური სამუშაოა. ისე რომ, დასაკვნა კენედიმ, ჩვენ ჩამოვრჩით და კვლავაც ჩამორჩენილი ვიქნებით ერთ ხანს.

კენედიმ აღნიშნა, რომ საბჭოთა კოსმოსური რაკეტები მნიშვნელოვნად უფრო დიდი ზომისაა, ვიდრე ის რაკეტები, რომლებზეც ამერიკელი მეცნიერები მუშაობენ „სატურნის" პროექტის მიხედვით.

ამჟამად, განაცხადა კენედიმ, შეერთებული შტატები უდიდეს ღონისძიებებს ახორციელებენ თაუიანთ სამეცნიერო-კვლევითს მუშაობაში, ისწრაფვიან რა შექმნან უფრო მძლავრი რაკეტები, რასაც უდიდესი თანხები სჭირდება.

ყველას, ვინც ცდილობს ამტკიცოს, რომ ჩვენ არ ჩამოვრჩებით, შეცდომაში შეჰყავს ამერიკელი ხალხი, განაცხადა პრეზიდენტმა. დიდი ხანი გავა, სანამ ჩვენ საბჭოთა კავშირს გავუთანაბრდებოდეთ, თუმცა ჩვენ არა გვაქვს რაიმე საფუძველი მივიჩნიოთ, რომ საბჭოთა კავშირი აპირებს შეწყვიტოს კოსმოსის კვლევა.

მაგ

როკუელ კენტი სამშობლოში გაემგზავრა

მოსკოვი, 23 აგვისტო. (საკავშირო). მოსკოველებმა სამშობლოში გაიცალეს ცნობილი ამერიკელი მხატვარი, საბჭოთა კავშირის დიდი მეგობარი როკუელ კენტი. მეუღლესთან ერთად მან საბჭოთა კავშირში ორ თვეზე მეტს დაჰყო, მონაწილეობა მიიღო საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესის მუშაობაში. სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიამ ამერიკელი სტუმარი თავის საპატიო წევრად აირჩია.

— თქვენს ქვეყანაში მე დიდი ბედნიერება განვიცადე, — განაცხადა როკუელ კენტმა გამგზავრების წინ, — ვიხალვან ვიხილე იმის სრული დადასტურება, რაც მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე ყრმობის წლებიდან მწამდა: სოციალიზმი ერთადერთი სწორი გზაა მსოფლიოში. მე ხელოვანი ვარ, და, მაშასადამე, მიყვარს სიცოცხლე, მძულს ისინი, ვისაც ომი სურს. საბჭოთა კავშირში მოგზაურობისას ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ მშვიდობის მგზნებარე დამცველია ყველა საბჭოთა ადამიანი.

როკუელ კენტმა შემდეგ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი განიცდის ახლა აღორძინების ეპოქას ყველაფერში — ლიტერატურაში, ხელოვნებაში და, განსაკუთრებით მუსიკაში, რომ აღარაფერი ვთქვათ კოსმოსში მოპოვებულ გამარჯვებაზე, რომლის წინაშე იგი ქედს იხრის.

— მე ძალიან მიჭირს თქვენი ქვეყნის დატოვება, — თქვა დასასრულ როკუელ კენტმა, — მე ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს მშობლიური სახლიდან მივემგზავრებოდე, თუმცა ჩემი სამშობლო ამერიკაა და მიყვარს ჩემი ხალხი. გულითად მადლობას ვუძღვნი საბჭოთა ადამიანებს განსაკუთრებული გულითადობისა და სტუმართმოყვარეობისათვის.

სამშობლოში მიმავალი კენტი მეუღლითურთ რამდენიმე დღეს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში დარჩება.

ხელოვნება და ცხოვრება

△ ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწევა ონის სახალხო თეატრის კოლექტივი, რომელსაც საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რეჟისორი გიგა ჯაფარიძე ხელმძღვანელობს. თეატრმა ამ დღეებში მორიგ პრემიერად დადგა სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“. მაყურებლებმა აღნიშნეს მსახიობთა კარგი თამაში. როლები შეასრულეს გიგა ჯაფარიძემ (ოიდიპოსი), ბაბულია მეტრეველმა, დ. შიმშილაშვილმა და სხვ.

დ. ხახიაშვილი.

△ ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში: ხაშურში, ბორჯომში, სურამში, ქვიშხეთში, ალში, წაღვერში, ცემში, ბაკურიანში მაყურებელს უჩვენა ო. სოლოდარის პიესა „შემთხვევა აგარაკზე“. პიესა დადგა თ. მეხმა, მხატვრულად გააფორმა ი. პეტრაიტისმა.

ვ. მჭედლიშვილი.

სახალხო მთქმელის იუბილე

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის საზოგადოებრიობამ აღნიშნა ქუთაისის მკვიდრის, ძველი მეშახტის, სახალხო მთქმელის პეტრე ლეონოვიანის დაბადების 80 წლისთავი.

საიუბილეო საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების პასუხისმგებელმა მდივანმა პოეტმა დ. ყვიკარიძემ. სახალხო მთქმელის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, მოხსენებით გააკეთა დოცენტმა გ. სამხარაძემ.

იუბილარს მიესალმნენ პოეტები ა. გურჯიძე და კ. გვეტაძე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი კ. მეძველია, ჟურნალისტი ს. არველაძე და მოსწავლე დ. ჩაკვეტაძე. ტაბლიანის მშრომელთა სახელით სიტყვა წარმოთქვა გაზეთ „ტაბლიანის მეშახტის“ რედაქტორმა ს. მერკვილაძემ.

დასასრულ იუბილარმა მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას და წაიკითხა რამდენიმე ახალი ლექსი.

საინტერესო სიახლე

ატომი სვამს დიაგნოზს

როდესაც ქირურგი ტვინში ავთვისებიან სიმსივნეს კვეთს, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ტვინის ჯანმრთელი ქსოვილის ყოველი მილიმეტრის შენარჩუნებას. და მიუხედავად ამისა აქამდე ოპერაციას, თითქმის ბრმად აკეთებდნენ — შეუძლებელი იყო სიმსივნის ზუსტი საზღვრების დადგენა. ახლა ქირურგს მნიშვნელოვან დახმარებას უწევს ახალი დიაგნოსტიკური ხელსაწყო ბეტა-რადიომეტრი ბრკ-6. მისი ექვსი ზონდი შეჰყავთ ორგანიზმის სხვადასხვა ნაწილში, რომლებიც აცნობებენ ეკომს, სად არის რადიოაქტიური ფოსფორის დაგროვება. ხელსაწყოს გამოყენება შეიძლება ორგანიზმზე სხივური თერაპიის მოქმედების კონტროლისათვისაც.

დღემდე დიაგნოსტიკის საკმაოდ გავრცელებული საშუალება იყო ბიოპსია—სიმსივნის ქსოვილის მონაჭრის გამოკვლევა, — ამბობს სამედიცინო ხელსაწყოთა და მოწყობილობათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის იზოტოპურ-დიაგნოსტიკურ ხელსაწყოთა ლაბორატორიის გამგე კარლ კოლონტაროვი, — ბეტა-რადიომეტრით განხორციელებული დიაგნოსტიკით კი შესაძლებელია თავიდან ავიცილოთ შეცდომები.

ინსტიტუტში კიბოს დიაგნოსტიკის სხვა ხელსაწყოებიც არის. ატომის მძლავრი ძალა გამოყენებულია ადამიანის ჯანმრთელობის აღსადგენად.

მზის ჩასვლა ფიროსმანარში.

ფოტოტეტიდი შ. ჩხეტიანისა.



სტუმრები ევეციიდან

„შვეცია-სსრ კავშირის“ საზოგადოების მოღვაწენი საქართველოში

საზოგადოების „შვეცია-სსრ კავშირის“ გენერალური მდივანი ეკა პალმერი და ამ საზოგადოების ეკონომისტი მირე ფონ ჰოფსტენი რამდენიმე დღეს სტუმრად იყვნენ საქართველოში.

პირველად თქვენს ქვეყანაში და კერძოდ საქართველოში, გახანგრძლივებულ კორესპონდენტთან საუბრისა ქ-ნმა პალმერმა, მე ვიყავი 1931 წელს და ამიტომ შემიძლია გავაკეთო შედარება. მე ვნახე შესანიშნავი გარდაქმნები. განსაკუთრებული მთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე მშენებლობის უდიდესმა გაქანებამ.

მირე ფონ ჰოფსტენი აღტაცებულია საბავშვო დაწესებულებებით, რომლებიც მან ინახულა. თქვენს ქვეყანაში, ამბობს იგი, დიდ ზრუნვას იჩენენ ბავშვებისადმი.

ეკა პალმერი განაგრძობს საუბარს და დასძენს: საბჭოთა კავშირში ყოფნით იმდენი შთაბეჭდილება მივიღე, რომ ძნელია გადმოცემეთ სიტყვით. ყველგან — მოსკოვში, ლენინგრადში, თბილისში, ბათუმში, ქობულეთში, სადაც კი ვიყავით, დიდი სტუმართმოყვარეობით გვხვდებოდნენ. ეს იმის გამოხატულებაა, რომ საბჭოთა ადამიანები ღრმა პატივისცემით ეპყრობიან ჩვენს ხალხს.

ეკა პალმერმა მოიგონა „შვეცია-სსრ კავშირის“ საზოგადოების ჩასახვის საინტერესო ისტორია. ეს მოხდა 1934 წელს. ლენინგრადში მიმდინარეობდა მენდელეევის სახელობის საერთაშორისო კონგრესი, რომელსაც შვეციიდან ესწრებოდა ცნობილ მეცნიერ-ქიმიკოსთა დელეგაცია. კონგრესის შემდეგ დელეგატებმა იმოგზაურეს საბჭოთა კავშირში. საქართველოს სამხედრო გზით ისინი თბილისში ჩამოვიდნენ. შვეციაში დაბრუნებისას მეცნიერები აღტაცებით მოგვითხრობდნენ თავიანთი შთაბეჭდილებების, საბჭოთა ქვეყანაში ახალი ცხოვრების მშენებლობის შესახებ. სწორედ მაშინ ჩაისახა „შვეცია-სსრ კავშირის“ საზოგადოების შექმნის იდეა. ამ საზოგადოების პირველი პრეზიდენტი იყო ჩვენი სტუმარი ქალის მამა.

ეკა პალმერი აღნიშნავს, რომ საზოგადოება აერთიანებს 6 ათასზე მეტ კაცს, აქვს 43 განყოფილება შვეციის სხვადასხვა ქალაქში. საზოგადოების აქტივისტთა შორის არიან მსახიობები, ლიტერატორები, მხატვრები, საქმიანი წრეების წარმომადგენლები, მუშები. ინტერესი საბჭოთა კავშირისადმი ჩვენს ქვეყანაში, ხაზს უსვამს ეკა პალმერი, უკანასკნელ დროს არაჩვეულებრივად გაიზარდა.

მრავალმხრივია საზოგადოების საქმიანობა. მისი ინიციატივით მოეწყო გამოფენები „საბჭოთა თანამეზობლები“, „ატომური ენერგიის გამოყენება სსრ კავშირში მშვიდობიანი მიზნებისათვის“, „საბჭოთა ბალეტი“, „საბჭოთა ბავშვების ნახატები“ და სხვ. ჩვენ გვაქვს საბჭოთა კინოსურათების საკუთარი ფილმოთეკა, გვიამბობენ შვედი მეგობრები. უკანასკნელ დროს საბჭოთა ფილმები 70 ათასმა შვედმა ნახა.

საზოგადოება აწყობს ტურისტულ ექსკურსიებს საბჭოთა კავშირში. სსრ კავშირში იშოგზაურა საზოგადოების ათასამდე აქტივისტმა ტურისტმა.

ეკა პალმერი და მირე ფონ ჰოფსტენი აღტაცებით იგონებენ ი. სუხიშვილისა და ნ. რამიშვილის ხელმძღვანელობით საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის გასტროლებს შვეციაში.

— ანსამბლს კოლოსალური წარმატება ხვდა წილად. შვედებს გულწრფელად შეუყვარდათ ქართული ხელოვნება, — ამბობენ ხტუმრები.

„შვეცია-სსრ კავშირის“ საზოგადოების მოღვაწენი 22 აგვისტოს მოსკოვს გაფრინდნენ. (საკდესი).

„ჩოგბურთის ამერიკის“ აღმოჩენა

ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენი ჩოგბურთელები, ჩიოდნენ, იშვიათად გვიხდება მონაწილეობა საერთაშორისო შეჯიბრებებში. მიმდინარე წლის ზაფხულში კი საბჭოთა ჩოგბურთის ოსტატები უკვე იყვნენ ავსტრიაში, ინგლისში, ბელგიაში, უნგრეთში, ჰოლანდიაში, იტალიაში, საფრანგეთსა და ჩეხოსლოვაკიაში. გაზაფხულზე და სულ ახლახან მოსკოვში გაიმართა ორი დიდი საერთაშორისო ტურნირი.

ახლა საბჭოთა ჩოგბურთელებს მოუხდებათ „ჩოგბურთის ამერიკის“ აღმოჩენა. რამდენიმე დღის შემდეგ ოკეანეს გაღმა მიფრინავენ „კოლუმბები“ — ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი ანა დმიტრიევა, ესტონელი თომას ლეიუსი, ბაქოელი სერგეი ლიხაჩოვი და 17 წლის თბილისელი მოსწავლე ალექსანდრე მეტრეველი. ყველა მათგანი მიწვეულია ამერიკის შეერთებული შტატების ღია ჩემპიონატი მონაწილეობისათვის, რომელიც 29 აგვისტოს დაიწყება ფორესტ ჰილსში. (საკდესი).

„ოქროს“ ქულები

ახლოვდება საკავშირო ჩემპიონატის პირველი ტურის ფინიში. მალე „ა“ კლასის 22 კოლექტივი სატურნირო ცხრილში დაკავებული ადგილების მიხედვით ორ ჯგუფად გაიყოფა და დაიწყება დასკვნითი პაექრობა სპარტაკიადის მომდევნო ადგილებისათვის. პირველი თორმეტეული (ექვს-ექვსი გამარჯვებული თვითეული ქვეჯგუფიდან) გაათამაშებს პირველადან მე-12, ხოლო დანარჩენები — მეცამეტიდან 22-ე ადგილებს.

ცხადია, როგორც პირველ, ისე მეორე ჯგუფში ბრძოლა შეუპოვარი იქნება, თუ პირველ ჯგუფში მეტოქეებს ასპარეზობა ექნებათ ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებისათვის, მეორე ჯგუფის გუნდებს არანაკლები საზრუნავი ექნებათ იმისათვის, რომ თავი დაიცვნონ მე-20, 21-ე და 22-ე ადგილებს და ამით მომავალი წლისათვის „ა“ კლასში გამოსვლის უფლება შეინარჩუნონ.

ჩემპიონატში გუნდების საერთო პერსპექტივებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ქულებს, რომლებიც ფინალის მონაწილეებმა ურთიერთ შეხვედრებში მოიპოვეს.

დღეისათვის პირველ ქვეჯგუფში უძლიერესთა ექვსეულში შედიან: ცსკა-ს, კიევის „დინამოს“, „მახტაორის“, „მოლდოვას“, „ზენიტის“ და დონის როსტოვის სკა-ს გუნდები; მეორე ქვეჯგუფში, — მოსკოვისა და თბილისის „დინამოს“, დედაქალაქის „ტორპედოს“, მოსკოვის „სპარტაკის“, „ნეფტიანიკისა“ და „პახტაკორის“ ფეხბურთელები.

აი ამ გუნდების შედეგები ქულათა აბსოლუტური რაოდენობით და „ოქროს“ ფონდით. მაგალითად, ცსკა-ს 16 ტურის შემდეგ აქვს 27 ქულა, აქედან 12 „ოქროს“ ქულა. პირველი ქვეჯგუფების დანარჩენი ა ლიდერის მდგომარეობა ასეთია: კიევის „დინამო“ — 24-11 ქულა, დონეცკის „შახტიორი“ — 18-8 ქულა, კიშინიოვის „მოლდოვა“ — 17-7 ქულა, დონის როსტოვის სკა — 16-7 ქულა, ლენინგრადის „ზენიტი“ — 16-6 ქულა.

მეორე ქვეჯგუფში პირველ ორ ადგილზე თანაბრადვერეულად არიან მოსკოვისა და თბილისის დინამოელები. პირველს საერთოდ შეგრეოული აქვს 20, მათ შორის 10 „ოქროს“ ქულა, მეორეს — 19-9 ქულა. ლიდერთა დანარჩენი ოთხეულის მდგომარეობა ასეთია: მოსკოვის „ტორპედო“ — 18-6 ქულა, დედაქალაქის „სპარტაკი“ — 18-4 ქულა, ტაშკენტის „პახტაკორი“ — 16-8 ქულა, ბაქოს — „ნეფტიანიკი“ 16-7 ქულა.

ლიდეროგს ე. კაკაგაძე

ჩერნიგოვი. (სპეც. კორ.). დასასრულს უახლოვდება სასპორტო საზოგადოება „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობის გათამაშება ჭადრაკში ქალთა შორის. შემადგენლობა მეტად ძლიერია. საპრიზო ადგილებს ერთმანეთს ეცილება 15 მოჭადრაკე, მათ შორის საქართველოს სამი წარმომადგენელი — კაკაბაძე, გოგიავა, ნაჭყებია.

ჩემპიონატში წარმატებით იბრძვის ე. კაკაბაძე, რომელსაც ჯერ არც ერთი პარტია არ წაუგია და უკანასკნელი სამი ტურის წინ 8.5 ქულა აქვს. მეორე ადგილზეა მალინოვა (7,5 ქულა), მესამე და მეოთხე ადგილს შვედ-შვიდი ქულით იყოფენ ფილანოვსკაია და კრისტოლი. იაკრს 6,5 ქულა აქვს.

ლაიპციგის ცისფერ გილიკეგზე

ლაიპციგში გრძელდება ევროპის ჩემპიონატი ცურვაში, წყალში ხტომასა და წყალბურთში. როგორც ვიუწყებოდით, სსრ კავშირის გუნდს მეორე ოქროს მედალი მოუტანა ლენინგრ ბარბიერმა ზურგზე ცურვაში 200 მეტრზე შედეგით — 2 წუთი და 16,6 წამი.

ამანათცურვაში ნებისმიერი სტილით 4×200 მეტრზე უძლიერესი იყო შვეციის გუნდი, რომელმაც აჩვენა დრო — 8 წუთი და 18,4 წამი. ეს შედეგი ევროპის ახალი რეკორდია. მომდევნო ადგილები დაიკავეს საფრანგეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდებმა. ქალთა შორის კომბინირებულ ესტაფეტაში 4×100 მეტრზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდმა (4 წუთი და 40,1 წამი). 200 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში ფინიშთან პირველი იყო გ. კუზმინი (2 წუთი და 14,2 წამი).

ტრამპლინიდან ხტომაში ვაჟთა შორის ჩემპიონი გახდა ავსტრიელი კრუტ მრკვიჩკა. საქართველოს წარმომადგენელმა ბორის პოლულიახმა მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. ქალთა შორის კოშკურიდან ხტომაში უძლიერესი იყო ი. კრემერი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა). ნ. კრეტოვა (სსრ კავშირი) მეორე ადგილზე გამოვიდა.

დიდი ინტერესი გამოიწვია წყალბურთელთა ასპარეზობამ სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ნაკრებ გუნდებს შორის. უკანასკნელი ტაიმისათვის ანგარიში იყო 3:1 საბჭოთა წყალბურთელების სასარგებლოდ, მაგრამ მას შემდეგ რაც მსაჯმა აუზიდან გააძევა ჩვენი ორი მოთამაშე, იუგოსლავიელებმა შეძლეს 2 ბურთის გატანა და მატჩი დამთავრდა ფრედ 3:3.

კერესი თუ გელერი?

უკანასკნელი პარტიის წინ

ორი საბჭოთა გროსმაისტერის — პაულ კერესისა და ეფიმ გელერის მატჩი პრეტენდენტთა ტურნირის მეორე ადგილისათვის მიიწურა.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უკანასკნელისწინა მეშვიდე პარტიას, რომელიც 23 აგვისტოს შედგა. კერესმა შავებით აირჩია ნიმცოვიჩის დაცვის რთული ვარიანტი, რომელმაც მას სასურველი შედეგი ვერ მოუტანა. გელერმა დებიუტიდან პოზიციური უპირატესობა და პერსპექტიული პარტია მიიღო, რაშიც მას ხელი შეუწყო ორი კუს კარგმა განლაგებამ. კერესი იძულებული გახდა მხოლოდ დაცვაზე ეზრუნა. 5 საათის ბრძოლის შემდეგ 41-ე სვლაზე პარტია გადაიდო. უკანასკნელი სვლა ჩაიწერა კერესმა.

24 აგვისტო გადადებული პარტიის დამთავრების დღე იყო. ბრძოლა ხასიათდებოდა შეუპოვრობით. კერესი ზუსტად იცავდა თავს და 51-ე სვლაზე ყაიმს მიაღწია.

ანგარიში გახდა 3,5:3,5. დღეს შედგება უკანასკნელი მე-8 პარტია.

მილიციელ იცავს ხალხს

შემთხვევა მანქანაში

თბილისის პირველი პარალელის შესახვევ № 5-ში მცხოვრები ეორეიკა ალექსანდრიან-ძე ბაზუაშვილი ლოთობდა, სისტემატურად ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა და ავიწროვებდა მის მეუღლეს — თბილისის წინდების საქსოვ ფაბრიკის მქსოველს ნაზი იასონის ასულ ქვარიანს. 1962 წლის 20 აგვისტოს მან კვლავ სცემა მეუღლეს, სახლიდან წაიღო მეუღლის მიერ შეძენილი საოჯახო ნივთები და მიიმალა. დაზარალებულმა ნაზი ქვარიანმა განცხადებით მიმართა ლენინის სახ. რაიონის მილიციის პირველ ქვეგანყოფილებას. იგი მოითხოვდა მისი ქმრის ე. ბაზუაშვილის მიმართ საჭირო ზომების მიღებას.

ორი დღის შემდეგ 22 აგვისტოს დაზარალებულ ნ. ი. ქვარიანის ძმის ჯიმშერ ქვარიანის აქტიური დახმარებით დაკავებული იქნა საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას თავარიდებული ე. ბაზუაშვილი.

როცა მილიციის ლეიტენანტ რუბენ იასონის-ძე დევდარიანს და მილიციელ ოთარ დავითის-ძე ბერიტაშვილს დაკავებული ე. ბაზუაშვილი მანქანით ლენინის რაიონის მილიციის განყოფილებაში მიჰყავდათ, ბოროტმოქმედმა ე. ბაზუაშვილმა სასწრაფოდ ჯიბიდან იძრო პირის საპარსავი დანა (სამართებელი) და ყელის არტერიაში გამოუსვა მილიციის ლეიტენანტ რუბენ დევდარიანს. იგი უგრძნობ მდგომარეობაში დაეცა ძირს და სისხლიდან იცლებოდა. ბაზუაშვილი ამის შემდეგ თავს დაესხა თავის, იქვე მყოფ ცოლის ძმას ჯიმშერ ქვარიანს და მასაც სიცოცხლეს უსპობდა. არ დაიბნა მილიციელი ოთარ ბერიტაშვილი, მიუხედავად იმისა, რომ მას იარაღი არ გააჩნდა, სასწრაფოდ მივარდა გრძნობა დაკარგულ მილიციის მუშაკ დევდარიანს, ამოაძრო პისტოლეტი და ორჯერ გამაფრთხილებელი სროლით შეეცადა აღეკვეთა ე. ბაზუაშვილის მხეცური მოქმედება, მაგრამ ამაოდ. ბაზუაშვილი კვლავ განაგრძობდა თავდასხმას მოქალაქე ჯიმშერ ქვარიანზე. მას რამდენიმე და ისიც მძიმე ჭრილობა მიაყენა. ფხიზელმა მილიციელმა ო. ბერიტაშვილმა პისტოლეტიდან დამატებით ორი გასროლით მოკლა ბოროტმოქმედი ე. ბაზუაშვილი და ამით სიკვდილს გადაარჩინა ელმავალმშენებელი ქარხნის მუშაკი — პატიოსანი საბჭოთა მოქალაქე ჯიმშერ ქვარიანი. მიღებულია სასწრაფო სამედიცინო ზომები მძიმედ დაჭრილთა მილიციის ლეიტენანტ რუბენ დევდარიანის და მოქ. ჯიმშერ ქვარიანის სიცოცხლის გადასარჩენად.

მილიციელ ოთარ ბერიტაშვილის მამაცურმა და თავგანწირულმა მოქმედებამ მადლობა დაიმსახურა.

სპორტული ქრონიკა

△ კიევში შედგა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ჩოგბურთში სსრ კავშირისა და ავსტრალიის გუნდებს შორის. დიდი ინტერესი გამოიწვია ჭაბუკთა — მეტრეველისა და კეტონის ორთაბრძოლამ. ქართველმა სპორტსმენმა ტაქტიკურად სწორად აგო ბრძოლა და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა. ოფიციალურ მოუგო ბაკშევეკს, დმიტრიევამ — შახტს, ხიუტმა — ლიხაჩევს.

△ საქართველოს თასის გათამაშებაში გამოვლინდა პირველი ფინალისტი. ეს გუნდია ზესტაფონის „მეტალურგის“ ფეხბურთელთა გუნდი, რომელმაც ანგარიშით 2:1 დაამარცხა ლანჩხუთის „გურია“. ფინალში ზესტაფონელთ მოწინააღმდეგე იქნება ბათუმის „სპარტაკისა“ და ტყიბულის „მეშახტის“ ნახევარფინალურ ასპარეზობაში გამარჯვებული გუნდი.

△ კაოათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ფინიშთან ტარტუში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „კალევისა“ და თბილისის „ბურევესტნიკის“ გუნდები. გაიმარჯვეს ტარტუს კალათბურთელებმა ანგარიშით 58:56.

უჩვეულო ფერმა ტაშკენტის ახლოს

სააგენტო „ახალი ამბები“

არაჩვეულებრივი „სულადობა“

— ბაზმე მოიტანეს!

თეთრხალათიან ადამიანებს ფრთხილად გადმოაქვთ სატვირთო მანქანიდან მწვანე ყუთები. ერთ-ერთი ყუთის მავთულის ბადეში ასობით თეთრი თაგვი მოჩანს; მეორეში — ოდნავ ღინღლიანი წიწილები, მესამეში კი ამაყად სხედან თვალებგადმოკარკლული ბაყაყები.

— ადვილი როდია ჩვენი „სულადობის“ გამოკვება, — ამბობს გეოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ვასილ კარპენკო. „სულადობა“. რომელიც მხედველობაში ჰყავდა კარპენკოს, — ეს არის 16 კობრა, 400 გიურხა, 200-ზე მეტი ეფა, 100 გველგესლა და ბევრი სხვა, სხვადასხვა ფერის, სხვადასხვა ჩვეულების, სხვადასხვა ძალის შხამის მქონე გველი. მათ თავი მოუყარეს უზბეკეთის ახალ სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებაში — უზბეკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიისა და პარაზიტოლოგიის ინსტიტუტის გველსანაშენში. ამ დაწესებულებას გველის განთქმული მკერი და მკვლევარი ოლგა ბოგდანოვი ხელმძღვანელობს.

— ჩვენი, ალსაზღვრების, რიცხვი დღითიდღე მატულობს, — ამბობს კარპენკო. — მარტო გუშინ გველის 20 ახალი პასპორტი შევავსეთ.

გველი და პასპორტი... ეს ორი ცნება როგორღაც არ ეგუება ერთმანეთს. მაგრამ კიდევ უფრო გავოცდით, როცა შეკითხეთ, რომ ამ არაჩვეულებრივი „პიროტყვის სადგომის“ თვითეულ ბინადარს დაღი აქვს, რომ ბევრ მათგანს სახელიც აქვს შერქმეული, რომ ისინი კიდეც ეჩვევიან თავიანთ პატრონს.

— აბა შემოხედეთ, რა ლამაზია! — მოგვმართავს ახალგაზრდა ქალიშვილი, ფართოფარფლიანი ხალის ქუდი რომ ახურავს. ყელზე შემოხვეული ჰყავს წვრილი ლამაზი გველი. გველს წვრილი კუდი ქალიშვილის ყურისათვის შემოუხვევია, თავი კი, თითქოს მინის თვალები რომ უსხედეს, შორს წამოუწევია წინ.

— ნუ გეშინიან! გაიღიმა ქალიშვილმა, მე რომ საჩქაროდ უკან დავიწევ. — ეს სრულიად უწყინარი გველი. ჩვენს თანამშრომელს ალექსანდრე ზახაროვს კი მოშინაურებული ჰყავს შხამიანი ეფა. ხელში აიყვანს ხოლმე და როდი იკბინება. გინდათ ნახოთ?

ქალიშვილს გულითადი მადლობა გადავუხადე. ეს გამოცდაც საკმარისი იყო ჩემთვის.

სამკურნალო შხამი

გველის შხამის სამკურნალო მიზნით გამოსაყენებლად სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა უზბეკეთში უკვე დიდხანია წარმოებს. ტაშკენტის გადაუდებელი დახმარების კლინიკური საავადმყოფოს პროფესორმა არტაკაზე მელიქ-ქარამანიანმა კობრის შხამისაგან დამზადებული პრეპარატების გამოყენებით შრომითს საქმიანობას დაუბრუნა ბევრი ასთმატიკი და ძმიმე ნერვული ავადმყოფობით დაავადებული. მისმა „კობრო-ტოქსინმა“ (ასე უწოდა პროფესორმა თავის პრეპარატს) აღიარება ჰპოვა მედიცინაში. ფართოდ ცნობილია სხვა პრეპარატები, რომელთა ეტიკეტზე გამოხატულია გველის თავი. გველის შხამს ამჟამად სასელექციო მუშაობაში იყენებენ. მასზე მოთხოვნილება იზრდება. მომავალი დაგვანახვებს, კიდევ რა სასწაულმოქმედი თვისებები აქვს შხამის გამჭვირვალე წვეთს, რომელიც დღემდე ადამიანს მხოლოდ შიშს ზარს სცემდა.

მაგრამ ამ შხამის შოვნა ადვილი როდია. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ გველები ტყეობაში ჩვეულებრივ არ მრავლდებიან, მეორეც, იმიტომ, რომ მათ არა სურთ ნებაყოფლობით დთმონ მომავალი ნებელი იარაღი. უზბეკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიისა და პარაზიტოლოგიის ინსტიტუტმა გადაწყვიტა შეუქმნას გველებს ისეთი პირობები, რომლებშიც ისინი თავს ტყეობაში არ იგრძნობენ. ასე დაიბადა ტაშკენტის ახლოს გველსანაშენის მოწყობის იდეა.

გველსანაშენი რვა ჰექტარ ფართობზეა გადაჭიმული. მის ტერიტორიაზეა ორი დიდი დარბაზი გველების ზამთარში შესანახავად, ლაბორატორიები, შხამის ასაღები ოთახები, მომსახურე პერსონალის საცხოვრებელი სახლები, სასამსახურო სათავსები. ზაფხულში გველებს ყოველი მხრიდან შემოკავებულ ეზეს ვოლიერში ინახავენ. თვითეული სახეობის გველებისათვის ცალკე ვოლიერია. კობრებსა და გველგესლებს, მაგალითად, უყვართ მზეს ემალებოდნენ ორმოებში — მათთვის გაკეთებულია ხელოვნური სოროები. მომწვანო-ნაცრისფერი ეფა მთელ დღეებით ზის თავის ვოლიერში ვაზზე და მსხვერპლს ელოდება. გამოცდილი თვალისთვისაც კი ძნელია გაარჩიოს გველი უწყინარი ვაზისაგან.

თვეში ერთხელ გველებს „წველიან“. მარტო ერთ ადამიანს — გერპეტოლოგ ოლეგ სუდარევს ანდობენ ამ საშიშ საქმეს. ვერც ერთი გველი ვერ ასცდება მის ხელს. დღეს ეი შხამს ართმევს კობრებს, — ხვალ — გიურზებს... ცალ ხელს თავის ფუძესთან მოუჭერს გველს და ფართოდ გაალებინებს პირს. შხამიანი კბილები გამჭვირვალე ლამბაქს ჩაესმება. მაგრამ გველი „შმაკობს“ — ერთბაშად როდი იძლევა დაგროვებულ შხამს. მაშინ გერპეტოლოგი ოდნავ მასაჟს უკეთებს შხამიან ჯირკვალს, და ლამბაქის კედელზე პატარა წვეთი შხამი ჩამოვიდინება. უკანასკნელ ხანს შხამის მისაღებად მასაჟის ნაცვლად ელექტროდენის გამოყენება დაიწყეს.

პატარა წვეთია, მაგრამ რა ძალა აქვს! თვითეული სახეობის გველის შხამი სხვადასხვანაირად მოქმედებს. მაგალითად, კობრის ნაკბენ ადგილზე არავითარი კვალი არ არის. მისი შხამი მხოლოდ ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე მოქმედებს. ეფას ან გიურზას კბენისას კი, პირიქით, ორგანიზმში მძაფრი რეაქცია ხდება, სისხლძარღვების სისტემა იროვევა... მეცნიერებმა სხვადასხვა შხამსაწინააღმდეგო შრატების სერია შექმნეს. ეს შრატები იმავე შხამისაგან მზადდება, რომლისგანაც იცავს. ტაშკენტის ვაქცინებისა და შრატების ინსტიტუტი ყოველდღე გზავნის ამბიისა და აფრიკის ბევრ ქვეყანაში ასობით და ათასობით ამპულა სამკურნალო შრატს.

გველის კბენის შემთხვევაში მათი დროულად გამოყენება ადამიანს გადაარჩენს.

ძვირფასი გრამები

ყოველთვიურად ჩვენს გველსანაშენში 20-25 გრამ მშრალ შხამს ვიღებთ, — გვიამბობს ვასილ კარპენკო, — ეს მნიშვნელოვანი რაოდენობაა. მაგალითად, ერთი გრამი საკმარისია იმისათვის, რომ დამზადდეს ათი ათასი ფლაკონი სამედიცინო სამყაროში ფართოდ გავრცელებული სამკურნალო საშუალება — ვიპროკუტანი. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი „სულადობის“ თავისუფალ შენახვაზე გადაყვანა დადებით გავლენას მოახდენს გველების გამძლეობაზე, ეს კი მაშასადამე, გაზრდის მოპოვებული შხამის რაოდენობას. დღემდე ვერ მოვახერხეთ გაგვემრავლებინა გველები ტყეებში. ფიქრობთ, რომ ახალ პირობებში ამ ამოცანის გადაწყვეტასაც შეგძლებთ.

— განა უფრო ადვილი არ იქნებოდა შხამის მოპოვება სინთეზური გზით? — ვკითხეთ ჩვენ.

— არა, —გაიღიმა ვასილ კარპენკომ.— შხამს ქიმიური შემადგენლობა იმდენად რთულია, რომ ადამიანს კიდევ დიდხანს მოუხდება გველების გამოყენება.

იოსეგ სიგალოვი.

„ახალი ამბები“ — ტელეფონები

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

26 აგვისტო

პირველი პროგრამით

06.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 08.30 — კონცერტი — „დიდება სამშობლოს“, 09.15 — პოპულარული ქართული სიმღერა, მინიატიურები, 10.15 — რადიოგაზეთ „საქართველოს პიონერის“ საკვირაო გამოშვება, 10.45 — ს. ცინცაძე. საკვარტეტო მინიატიურები, 11.30 — რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“, 12.15 — კონცერტი — „მღერის ოფხეთი“, 12.45 — ფესტივალის სიმღერები, 13.20 — საკვირაო გადაცემათა პროგრამა, 13.30 — მუსიკალური გადაცემა — „იცი თუ არა?“, 14.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „ნილსის საოცარი მოგზაურობა“, 14.45 — მეშახტეთა საკავშირო დღისადმი მიძღვნილი გადაცემა, 15.00 — კონცერტის ტრანსლაცია ბაქოდან, 15.40 — ნ. სტერიოვის ინსცენირებული მოთხრობა „ზზე გვასწავლის „ზსს ზინისაკენ“, 16.15 — რადიოჟურნალი საბჭოთა არმიის მეორმხრებისათვის, 17.00 — საერთაშორისო მიმოხილვა, 17.15 — ს. ნასიძე. პირველი კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის, 17.40 — კონცერტი — „მღერის ბედ